CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 9 ნოემბერი, 2009 წელი. №245 (2283) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ამერიკის წარმომადგენელთა პალატამ სამედიცინო რეფორმას დაუჭირა მხარი

A3

რატომაც არა

A12

მალე - IPTV მაგთიკომისგან

HD მაღალი გარჩევადობის არხები, ეთერში გასული გადაცემების თავიდან ნახვისა და ონლაინ ვიდეოგაქირავებით სარგებლობის შესაძლებლობა

მაგთი MAGTI TV

A4

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვანის სადაზღვევო ჯგუფი

პოლიტიკის ქიმერა

ნოდარ ლადარია

არა, ეს ნამდვილად აუტანელია: ზედიზედ მეორე სტატიის პროტაგონისტი გია ნოდია უნდა გახდეს!..

თუმცა შეიძლება შორიდან დავიწყოთ, მაგალითად, ერთი აზრით, რომელიც ჩვენი სინამდვილისათვის საკმაოდ სიმპტომატურია. ეს აზრი კეთილი რჩევის სახით ერთი ჭკვიანი კაცისაგან მივიღე. თუმცა, პირდაპირი ციტირება არ ივარგებს, რადგან გაუხსნელი დარჩება კონტექსტი. მაშ ასე, საქმე ეხება სატელევიზიო გადაცემას, რომელიც მომზადების პერიოდშია. არა, ახლა ამ გადაცემაზე არ ვისაუბრებთ, არამედ - მხოლოდ რჩევაზე. სიმპტომატურად კი მას ორი მომენტი აქცევს. მომენტი პირველი: ტელევიზია გართობის ინდუსტრიაა. ნურც დავეთანხმებით და ნურც კამათს დავუწყებთ ამ დებულებას, რომელიც თავისთავად არაფერს ნიშნავს.

ყველაზე საშიში გაგების სწორხაზოვნებაა. თავდაპირველად გავიხსენოთ, რომ გართობა ისეთი სფეროა, რომელშიც სრულიად თავისუფლად, ფართოდ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ღრმადაც შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი კატეგორია, როგორიცაა გემოვნება.

თან არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გართობა სერიოზული საქმეა, რასაც მოწმობს ტერმინი "რეკრეაცია". ეს სიტყვა სწორედ გართობისა და დასვენების მნიშვნელობით გამოიყენება, მაგრამ, ამავე დროს, პირველი ლათინური მნიშვნელობით "ხელახლა შექმნას" ნიშნავს და მისი წარმოშობა გოთიკური მონასტრების მკაცრ ასკეტურ გარემოს უკავშირდება. რეკრეაციის დროს ხელახლა იქმნება დახარჯული ენერგია... მაგრამ ნუღარ გავაგრძელებთ და კვლავ დავუბრუნდეთ სიტყვის ჩვეულ და ნაცნობ საზრისს.

გაგრძელება A3 გვერდზე

ქვეყნის ნაწილი

ოთარ ჭილაძის დაუსრულებელ რომანსა და "ინტელექტის" გამოცემებზე

თამარ კიკნაველიძე

დრო იყო, გვეიმედებოდა, ახლა კი მასზე ლაპარაკს წარსულში ვსწავლობთ და გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე, ვცდილობთ გავაცნობიეროთ, ვინ დავკარგეთ...

დავკარგეთ ის, ვინც საკუთარი ცხოვრების მაგალითზე გვაჩვენა, რომ მისთვის "ცოცხლად დამარხული სამშობლოთი იწყებოდა მთელი დანარჩენი სამყარო და უიმისოდ ერთნაირად მკვდარი იყო ყველა რელიგია".

ოთარ ჭილაძემ მსოფლიოს ლიტერატურული მემკვიდრეობა გაამდიდრა. ჩვენს გვერდით ცხოვრობდა კაცი, რომელმაც ბოლო ამოსუნთქვამდე უერთგულა მწერლობას, გზიდან არ გადაუხვევია და ამის გამო არასოდეს უნანია... ყოველ შემთხვევაში, სიტყვა არ დასცდენია იმაზე, რომ არჩევანი ტვირთი იყო და პასუხისმგებლობის სიმძიმეზე უფრო ლაპარაკობდა, ვიდრე საბეჭდ მანქანაზე მიჯაჭვული მწერლის მძიმე ბედზე... მისი ბოლო რომანიც ამ საბეჭდ მანქანაზე იწერებოდა და ვინ იცის, რისი თქმა უნდოდა ავტორს დაუსრულებელი ნაწარმოების მთავარი გმირის, მწერალი კაცის პირით...

გაგრძელება A10 გვერდზე

გამოსვენება სამების საკათედრო ტაძრიდან.

მარი კეფალეს ფოტო

დოუ ჯონსი, მიუხედავად ყველაფრისა, ათი ათასზე მეტია

გრიგოლ ნიკოლეიშვილი

წინა კვირა საფონდო ბირჟებზე საკმაოდ პესიმისტური განწყობით დაიწყო. აქციებზე ფასების დაცემა მთელ მსოფლიოში გრძელდებოდა. ხუთშაბათს მდგომარეობა მოულოდნელად შეიცვალა, როდესაც ამერიკაში აქციების ფასების უპრეცედენტო ზრდა დაიწყო. დოუ ჯონსის საშუალო ინდუსტრიალური მაჩვენებელი 203.82 პუნქტით (2.08%-ით) გაიზარდა და 10 000 პუნქტს გადააჭარბა. თუმცა უკანასკნელ დროს დოუ ჯონსის საშუალო ინდუსტრიალური მაჩვენებელი უკვე 10 000 პუნქტს ზემოთ იყო, მაგრამ წინა კვირა პირველი იყო დიდი ხნის განმავლობაში, როდესაც ეს მაჩვენებელი კვირის ბოლომდე ამ დონეზე შენარჩუნდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაჩვენებლის 10 000 პუნქტი უმნიშვნელოვანესი ფსიქოლოგიური ბარიერია ინვესტორებისთვის, ხოლო დოუ ჯონსის საშუალო ინდუსტრიალური მაჩვენებელი - მთავარი ორიენტირი მსოფლიოს საფონდო ბაზრებზე. ამიტომ, თუ ეს მაჩვენებელი 10 00 პუნქტს ზემოთ შენარჩუნდა, ეს ინვესტორთა განწყობაში გარდატეხას შეიტანს.

ფინანსურ ანალიტიკოსებს უყვართ, ასეთ მკვეთრ ცვლილებებს ახსნა მოუძებნონ. ბევრი მათგანი აქციების ფასების მკვეთრ მატებას იმას უკავშირებს, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა აპირებს, საპროცენტო განაკვეთი უპრეცედენტოდ დაბალ დონეზე დატოვოს. ფედერალური სარეზერვო სისტემა იმედოვნებს, რომ დაბალი საპროცენტო განაკვეთი საბანკო პროცენტს გააიაფებს, რაც ბიზნესაქტივობას და მოხმარების ზრდას ხელს შეუწყობს. რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილებამ, აგრეთვე სხვა ფაქტორებმაც, აქციების ფასებზე იმოქმედა.

გაგრძელება A6 გვერდზე

CMYK - 1

დაკავებული ოთხი ქართველი არასრულწლოვანს ბედი ისევ გაურკვეველია

ცხინვალის რეჟიმის შსს-ს მიერ დაკავებული ოთხი ქართველი არასრულწლოვნის ბედი ისევ გაურკვეველია. როგორც "ინტერპრესნიუსს" პოლიციის შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმერ ჯუღელმა განუცხადა, მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლები ქართულ მხარესთან კონტაქტზე არ გამოდიან, შესაბამისად, არასრულწლოვნების სასამართლოს ან სხვა რაიმე დეტალის შესახებ მათ ინფორმაცია არ აქვთ. თავად მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ გატაცებული ბავშვების სასამართლო პროცესი დღეს გაიმართება. ოფიციალური თბილისი სეპარატისტებისგან პასუხს სწორედ დღეს ელოდება. როგორც შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა ლადო ვარძელაშვილმა ჟურნალისტებს განუმარტა, რომ მოზარდების გათავისუფლებაში საერთაშორისო ორგანიზაციებიცაა ჩართული.

ბავშვების გატაცებასთან დაკავშირებით, ევროკავშირის მისია ნაზგასმით აცხადებს, რომ გატაცებულების მიმართ დამოკიდებულება ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის ფარგლებში უნდა ჯდებოდეს. კერძოდ, სხვა მთხოვნებთან ერთად, ბავშვები წინასწარი დაკავებისას არ უნდა იმყოფებოდნენ პენიტენციარულ სისტემაში შემავალ დაწესებულებაში, სადაც კრიმინალები იხდიან სასჯელს; ასევე, ბავშვების ნახვის საშუალება უნდა მიეცეთ მშობლებს ან უახლოეს ნათესავებს და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი იურიდიული მომსახურება.

გარდა ამისა, მისიის განცხადებით, დე-ფაქტო ხელისუფლება ვალდებულია ბავშვების დაკავების შესახებ შეატყობინოს მათ მშობლებსა და სამართალდამცავებს. ევროკავშირის მისია მზად არის ნებისმიერი დახმარებისთვის, რათა ოსური და ქართული მხარეები მისაღებ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ და არსებული ვითარება სასწრაფოდ გადაწყვიტონ. შეგახსენებთ, რომ ცხინვალის რეჟიმის შსს-ს თანამშრომლებმა ტირძნისის საშუალო სკოლის მოსწავლეები: გიორგი რომელაშვილი (დაბადებული 1995 წელს), ალეკო საბაძე (დაბადებული 1995 წელს), ვიქტორ ბუწუკური (დაბადებული 1993 წელს) და ლევან ხმიადაშვილი (დაბადებული 1992 წელს) დააკავეს.

საქართველოს შსს-ს ინფორმაციით, არასრულწლოვნები გორის რაიონის სოფელ ტირძნისის მიმდებარე ტერიტორიიდან 4 ნოემბერს, დღის მეორე ნახევარში დაიკარგნენ. ცხინვალში ამტკიცებენ, რომ მათ ხელყუმბარები და ასაფეთქებელი ნივთიერებები აღმოუჩინეს. მათივე ინფორმაციით, მოზარდებთან დაკავშირებით სასამართლო განხილვა გაიმართება. თუმცა, ცხინვალში განხილვის დროს არ აზუსტებენ. ცხინვალის რეჟიმი მათ ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ქართველი მოზარდები ცხინვალის რაიონის სოფელ ხეითის ტერიტორიაზე დააკავეს.

ქართული მხარე დაკავებული არასრულწლოვნების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს და საერთაშორისო მისიებს აქტიურობისკენ მოუწოდებს.

საქართველოს ორი მეზობელი

დათო გამისონია

აგვისტოს ომის გამო დევნილ ას ოჯახს გუშინ ახალი სახლები გადასცეს. გორის რაიონის სოფელ საქაშეთში სახლები თურქეთის სამთავრობო ორგანიზაცია თანამშრომლობისა და აღორძინების ადმინისტრაციის დაფინანსებით აშენდა. საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მისი მეუღლის სანდრა რულოვსის გარდა, სახლების გადაცემის ცერემონიალს თურქეთიდან ორგანიზაციის პრეზიდენტი, ასევე ქვეყნის სახელმწიფო მინისტრი და რამდენიმე დეპუტატი დაესწრნენ. საქაშეთში ასევე იმყოფებოდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი.

"თურქეთის მთავრობამ, 2008 წლის აგვისტოს ომის გამო დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების მიზნით, საკმაოდ მცირე ვადაში ასი საცხოვრებელი სახლი ააშენა," - განაცხადა თურქეთის სახელმწიფო მინისტრმა ფარუქ ჩელიქმა. კობა სუბელიანმა თურქეთს დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა: **"ჩვენი მეგობარი ქვეყნების და მათ შორის თურქეთის დახმარებას არა მხოლოდ, მატერიალური, არამედ დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის, ჩვენი ხელისუფლებისთვის, რადგან ამ კონფლიქტის დროს და შემდგომ პერიოდში მარტო არ ვგრძნობდით თავს."**

სოფელ საქაშეთში დევნილებისთვის სახლების გადაცემამდე პრეზიდენტი სააკაშვილი სიტყვით გამოვიდა. მან თურქეთის დელეგაციის თანდასწრებით ისაუბრა 2008 წლის აგვისტოში, პრემიერ-მინისტრ ერდოღანის ვიზიტის შესახებ საქართველოში. **"სახლები, რომლებიც აშენდა, არის თქვენი და ჩვენი შესრულებული დაპირება,"** - აღნიშნა სააკაშვილმა. რაც შეეხება დევნილების საცხოვრებელ მდგომარეობას, სააკაშვილის განცხადებით: **"ჩვენ ავაშენეთ 6 ათასამდე სახლი და ბინა. რა თქმა უნდა, რჩება ნიუანსები, ცალკეული საკითხები, თუმცა ყველა სხვა საკითხიც გადაწყდება ბოლომდე. ყველაზე ბოლოს ეს ხალხი იღებს სახლებს, მაგრამ აქ არის ყველაზე უკეთესი სახლები, რომლებიც სწორედ თურქეთის დახმარებით აშენდა."**

მიხეილ სააკაშვილმა დევნილებისთვის გადაცემული საკუთრების ხარისხიც შეაფასა. პრეზიდენტის თქმით, თავდაპირველად საქართველოს მთავრობის მიერ აშენებული სახლები იდეალური არ იყო. შემდეგ გერმანელებმა დამატებით უკეთესი სახლები ააშენეს. უფრო მოგვიანებით კი, პრეზიდენტის თქმით, თურქმა მეგობრებმა, რომლებსაც მართალია ცოტა მეტი დრო დასჭირდათ, მაგრამ ყველაზე კარგი ხარისხის სახლები აუშენეს დევნილებს. სააკაშვილის თქმით, ეს საქართველოს მეგობრების სიმრავლეზე მეტყველებს. **"ეს თითოეული სახლი არის მეგობრობის კონკრეტული ჟესტი. მთავარი ის კი არ არის, ლიდერებს როგორ მოეპყრობიან, არამედ მთავარია მეგობრობა და ჩვენი მოქალაქეებისადმი მათი დამოკიდებულება."**

სააკაშვილმა აგვისტოს ომის შემდეგ დაზარალებულთა დასაბინავებლად მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ პოლიტიკური ოპონენტების განცხადებებსაც გასცა პასუხი. **"გახსოვთ, ბევრი წუწუნება, როდესაც ჩვენ პირველად დავავალეთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს სახლების მშენებლობა, რადგან ზუსტად ორ თვეში გვჭირდებოდა რამდენიმე ათასი სახლი. მახსოვს თბილისში პოლიტიკოსების წუწუნი, რომელთაც აი ეს ხედი (ახლად აშენებული სახლები) მხოლოდ ტელევიზორში თუ აქვთ ნანახი. სამაგიეროდ, ძალიან ბევრს ლაპარაკობენ და ხშირად ბევრ არასწორ რამეს ამბობენ ამ საკითხებზე. მე მახსოვს მათი ასეთი ლაპარაკი - რა შუაშია შინაგან საქმეთა მინისტრი? ეს ხომ ინსტიტუციურად არღვევს მთავრობაში ძალთა გადანაწილებას..."** სააკაშვილმა დასძინა, **"თქვენ ბატონებო გქონდეთ თქვენი წარმოდგენები ინსტიტუტებზე და ჩვენ ჩვენ მიერ აშენებული სახლები გვექნება. თქვენ გქონდეთ აბსტრაქტული წარმოდგენები, რა არის კანონები და დემოკრატია და ჩვენ კონკრეტულად შევასრულებთ კანონს და კონკრეტულად დავეხმარებით ჩვენს ხალხს, რომ იცხოვრონ ამ დემოკრატიულ სახელმწიფოში თავისუფლად და ნორმალურად. უცხოელებიც გვაძლევდნენ შენიშვნას, რა შუაშია შინაგან საქმეთა სამინისტრო?"** სააკაშვილმა განაგრძო: **"რა შუაშია და იმ შუაშია, რომ ხალხს სჭირდება სახლები და ყოველთვის ვიმოქმედებ ისე, როგორც სჭირდება ჩვენს ხალხს და არა ერთ მუჭა პოლიტიკოსებს, რომლებიც დგანან რუსთაველზე და თბილისის ცენტრში."**

სააკაშვილმა ასევე ისაუბრა შექმნილ სიტუაციაში რუსეთის ფედერაციის მოქმედებებზე. მისი თქმით, **"ადამიანებს, რომელთაც გადაეცათ ახლად აშენებული სახლები, ერთ ხელის განვდენაში აქვთ საკუთარი სოფლები, მაგრამ ამ ხელის განვდენას ხელს უშლის ის ღობე, მავთულხლართი, რომელსაც ოცდამეერთე საუკუნეში გადმოსული წინა საუკუნეების დინოზავრები აშენებენ, თავისი დინოზავრული წარმოდგენებით და დინოზავრული პატარა ტვინით."** პრეზიდენტმა საქართველოში განვითარებული მოვლენები ევროპაში მიმდინარე პროცესების კონტექსტში განიხილა. **"მე მივესალმები იმას, რომ მაგალითად, პარიზში არის დემონსტრაცია არა მხოლოდ ქართველების, არამედ ფრანგების, იმის სათქმელად, რომ ბერლინის კედელი დღეს არის საქართველოში განთავსებული ეს მავთულხლართი. მანამ, სანამ ეს მავთულხლართი გადის აქ, ევროპა წყნარად ვერ დაიძინებს."** მან ევროპელი პოლიტიკოსების მისამართით განაცხადა, რომ **"ყოველ ჯერზე, როცა ვისაუბრებთ კეთილმეზობლობაზე ან თუნდაც ურთიერთობების განვითარებაზე ამ მიწის ოკუპანტთან, კარგად გაიხსენონ ეს მავთულხლართები, რომელიც ყოფს დღეს თავისი კარ-მიდამოსგან რუსეთის აგრესიის გამო დაზარალებულებს."** მან ყურადღება გაამახვილა რუსეთის-პრემიერ მინისტრ ვლადიმირ პუტინის საქმიანობაზე. **"ნახეთ, რა ლამაზი ბუნებრივი საზღვარი მოგვცა ღმერთმა რუსეთთან, კავკასიის ულამაზესი მთები. შემდეგ კი იმ კაცმა, ვინც ყველაფერი სცადა, მაგრამ ხელში დაენგრა ბერლინის კედელი, გადაწყვიტა, გაეუქმებინა ღმერთის მიერ მოცემული საზღვარი."**

პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველოს კიდევ ერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, მაშინ, როცა რუსეთმა სავიზო რეჟიმი შემოიღო, სიმბოლურად იმ დღეს თურქეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გააუქმა. პრეზიდენტმა გაიხსენა თურქეთის მიერ საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებაზე მუშაობის დაწყება, რაც, სააკაშვილის თქმით, საქართველოსთვის რუსეთში ბაზრის ჩაკეტვის პარალელურად ხდებოდა. **"ჩვენ გვყავს მეზობელი, რომელიც ანგრევს და გვყავს მეზობელი, რომელიც აშენებს,"** - აცხადებს სააკაშვილი. მან წარსულში თურქულ-ქართული რთული ურთიერთობებიც გაიხსენა და იმედი გამოთქვა, რომ დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის მაგალითს გარკვეული დროის გასვლის შემდეგ რუსეთიც აიღებს, თუ მას უნდა, რომ წარმატებული ქვეყანა გახდეს.

კავკასიის სტომატოლოგთა ასოციაციების კონფერენცია თბილისში

"მოკლე, ბასრი ტკივილი ცივი და ცხელი სტიმულების კომბინაციისას" ეს კბილის ჰიპერმგრძნობელობის სიმპტომია, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 5-დან 74%-მდე ადამიანს აწუხებს. სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად მსოფლიოში ექსკლუზიურად ახალი სწრაფმოქმედი ტექნოლოგია *პრო-არგინი* დაინერგა. საქართველოში კი მისი პრეზენტაცია 7 ნოემბერს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართა.

ახალი ტექნოლოგიის პრეზენტაცია თბილისში კავკასიის სტომატოლოგთა ასოციაციების კონფერენციაზე შედგა. კონფერენციაში სამი ქვეყნის - საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დელეგაციები მონაწილეობდნენ. "კბილის ჰიპერმგრძნობელობის პრობლემა ჩვენს რესპუბლიკაში და ამ პრობლემის მკურნალობის ახალი მეთოდი" ეს კონფერენციის თემა გახლდათ.

"ქოლგეით-პალმოლივმა", რომლის სპონსორობითაც კონფერენცია გაიმართა, კავკასიელ სტომატოლოგებს კბილის ჰიპერმგრძნობელობის მკურნალობის ახალი მეთოდი შესთავაზა. პროდუქტის პრეზენტაცია რუმინელმა პროფესორმა ირინა კივუმ ითავა.

სომხეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში გრაჩ სილვანიანი, გერმანელი და თურქი პროფესორები კონფერენციის საპატიო სტუმრები იყვნენ.

"სამი დელეგაცია ერთ კონფერენციაზე ეს არის უპრეცენდენტო შემთხვევა ჩვენი ასოციაციის ისტორიაში. საქართველო კიდევ არაერთხელ იქნება მათი მასპინძელი," აღნიშნა საქართველოს სტომატოლოგიის ასოციაციის წევრმა, პროფესორმა გია მენაბდემ.

კონფერენცია სამივე ქვეყნის წარმომადგენელთა მიხსენებითი სიტყვით დაიწყო. ქართული მხრიდან მოხსენება მსოფლიოს სტომატოლოგთა ასოციაციის ვიცეპრეზიდენტად ახლახან არჩეულმა, პროფესორმა მამუკა მარგველაშვილმა წაიკითხა.

მისი თქმით, საქართველოში კბილის ჰიპერმგრძნობელობის პრობლემის მქონეთა ზუსტი რიცხვის დასადგენად კვლევა ჯერ არ ჩატარებულა, თუმცა, ფიქრობს, რომ მათი რიცხვი საქართველოშიც მაღალია. ამ პრობლემას, ძირითადად, 30-40 წლის ქალბატონები უჩივიან.

კბილის ჰიპერმგრძნობელობის მომატება შეიძლება, რამდენიმე მიზეზმა გამოიწვიოს: დენტინის გაშიშვლება, კარიესი, ეროზია, მექანიკური გაღიზიანება (უხეში ჯაგრისი), კბილის მაგარი ქსოვილების პათოლოგიური ცვეთა. მაღალი ჰიპერმგრძნობელობა ხშირად გენეტიკურია. ან ენდოკრინული, კუჭნაწლავისა და ნერვული სისტემის პრობლემები განაპირობებს. იშვიათად, მაგრამ მაინც, მოქმედებს იატროგენური ფაქტორებიც ანუ სამედიცინო ჩარევისას კბილის დაზიანება. ეს შეიძლება, გამოიწვიოს ბლიჩინგმაც (კბილების გათეთრებამ).

პრო-არგინ ტექნოლოგიის ეფექტი ბუნებრივ პროცესებზეა დაფუძნებული. "ქოლგეითი" მას პირის ღრუს მოვლის საშუალებებში იყენებს. დენტინის მილაკებში გამუდმებით მიმდინარეობს სითხის დინება. მოვლენა, როდესაც სითხის მოძრაობა საპირისპირო მიმართულებით იცვლება, პაციენტის მიერ ტკივილად აღიქმება. პრო-არგინი კბილის არხებში აღწევს, ახშობს მათ და ტკივილის გამომწვევ ფაქტორებს ბლოკავს.

წამლის გამოყენების შემთხვევაში, ეფექტი, სულ ცოტა, 4 კვირაში მიიღწევა. მკურნალობის გამეორების საჭიროება ინდივიდუალურია რიგ შემთხვევაში მალევე, ზოგჯერ კი ხანგრძლივი დროის შემდეგ. ირინა კივუს განმარტებით, ეს ჰიპერმგრძნობელობის მომატების გამომწვევ მიზეზებზეა დამოკიდებული.

პრო-არგინის ყიდვა სტომატოლოგებს "ქოლგეითთან" დაკავშირებისას 67 ლარად შეეძლებათ. წამლის ერთი ფლაკონი 60 პაციენტზეა გათვლილი.

კონფერენცია ოთხ საათს გაგრძელდა. დასასრულს პროფესორმა აშოტ გეორგიანმა კავკასიის სტომატოლოგთა ასოციაციების წარმომადგენლები სომხეთში მომავალი წლისთვის დაგეგმილ ევროპის რეგიონალურ პლენარულ სხდომაზე დასასწრებად მიიწვია.

ლალი ცერცვაძე

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

პოლიტიკის ქიმერა

პირველი გვერდიდან

მომენტი მეორე: რა საჭიროა ველოსიპედის გამოგონება, საკმარისია უკვე არსებული და გამოცდილი ხერხები და ფორმატები ავითვისოთ. აქ ბევრად უფრო გასაგებია, თუ რამდენად მავნებელი შეიძლება იყოს კონტექსტის უგულებელყოფა.

ერთი სიტყვით, ასეთი იყო ჩემ მიერ მოსმენილი კონკრეტული რჩევის ორი არგუმენტი. ახლა უკვე მზად ვართ თვით რჩევის განხილვაზე გადასასვლელად: იმ ჩემი ჭკვიანი მეგობრის აზრით, ქართულ ნიადაგზე უნდა გადმომერგო ამერიკელი წამყვანის, ტელეკომპანია "ფოქს-ნიუსის" ერთ-ერთი სახის, ვინმე გლენ ბეკის პროექტი და ამეთვისებინა მისი მეთოდი.

ვნახე ეგ გლენ ბეკი. თქვენც შეგიძლიათ: შედით საქართველოში უკვე ყველასათვის ცნობილ საიტზე www.youtube.com და ძიების სარკმელში აკრიფეთ: Glenn Beck. თუ გეზარებათ, ან "იუთუბში" ჩაბუდებული ეშმაკების გეშინიათ, მე აღგიწერთ. წარმოიდგინეთ, ასე ვთქვათ, ღია და ხალხური სახე, ჯანმრთელობისა და უდარდელობის განსახიერება. მოკლედ შეკრეჭილი თმა ზღარბივით ადგას თავზე — ამ ლამის კომერციული ნიშნის თანახმად, ჩვენ წინაშეა ჭეშმარიტი wasp — თეთრი ანგლო-საქსი პროტესტანტი. თვალები რაღაცნაირი ალალი ცბიერებით უბრწყინავს: ტვინის ჭყლეტას ეგ არ დაიწყებს, მაგრამ ვერც ადვილად მოატყუებ. ნამდვილი "ჩვენებურია". გარეგნული ჰაბიტუსის მიხედვით ამ ტიპაჟის ქართულ ნიადაგზე კონტექსტუალური გადმოტანა იქნება აი ის ... სახელი არ მახსოვს ... "კომედი-შოუში" რომ ზამთარ-ზაფხულ "დუბლიონკით" დადის და თავდავიწყებით გაიძახის: "არა ვჭამოთ პური?!". გამჭრიახი მკითხველი მიხვდებოდა, რომ მე სწორედ პერსონაჟს ვგულისხმობ და არა მის შემქმნელ მსახიობს. წარმოიდგინეთ, რომ ამ პერსონაჟს ვანდობთ პოლიტიკური გადაცემის წაყვანას.

მაგრამ კვლავ გლენ ბეკს დავუბრუნდეთ, რადგან დროა ავხსნათ, რატომ დავუთმეთ მას ამდენი დრო. გლენ ბეკი ამერიკელ დემოკრატთა პოლიტიკას აქილიკებს. ამაში არაფერია გასაკვირი ან გასაკიცხი. პოლიტიკური პროცესის ჩვეულებრივი ელემენტია. აი, მაგალითად, ერთი გადაცემა, როცა სტუდიაში ყოფნისას განაცხადა, რომ ძალიან სცივა, მოიბუზა და მხრებზე და მკლავებზე ხელისგულების ტყაპუნს მოჰყვა — გასაგებია, რომ გლობალური დათბობის თეორიას ამასხარავებდა. ტყუილად კი არ გამახსენდა ჩვენი "დუბლიონკიანი" გმირი — ქართველი თანამოძმე იმ ძირძველი ამერიკელი კოლონისტებისა, რომელთა შთამომავლებს ჯერ კიდევ შემორჩათ "მეიფლაუერის" გემბანზე განცდილი თავბრუსხვევა.

მსუბუქად და ენაწყლიანად ბასრობს ბ-ნი გლენ ბეკი. მაგრამ დავუკვირდეთ თემატიკას: ნახსენები გლობალური დათბობა, ამის გარდა აშშ-ს საგარეო პოლიტიკა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ა. შ. აი, მისმა ქართველმა ეკვივალენტმა კი რაზე უნდა იმსჯელოს? — ბურჯანაძის აგარაკზე? ან იქნებ ლოთი ქობალიას პოლიტიკურ კარიერაზე? ან იქნებ გაბედოს და უამრავი გაკეთებული და გაუკეთებელი საქმის პარალელურად მოლაპარაკე მიხეილ სააკაშვილსაც გადასწვდეს?



ასეთი მექანიკური გადმოტანა სრულიად უპერსპექტივოა სამი მიზეზის გამო.

პირველი. ამერიკის შემთხვევაში განსახილველ საკითხთა მნიშვნელობა იმდენად დიდია, მსოფლიო იმდენად მგრძნობიარეა მათ მიმართ, რომ მათი განხილვა ყველა დონეზე შეიძლება. ადგილი რჩება სერიოზული თეორიული ანალიზისთვის, გლენ ბეკის მსგავსი პოლიტიკური სატირისა და, უფრო მეტიც, კლოუნადისთვისაც. საქართველოში თეორიული ანალიზის არანაირი მოთხოვნილება არ არსებობს, ხოლო კლოუნების წინაშე ხშირად ბევრად უფრო რთული ამოცანა დგას, რადგან მათ თავისნაირებს უნდა დასცინონ.

მეორე. ამერიკის შემთხვევაში არსებობს წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული და მკვეთრად გამოხატული პოზიციები, რომელთა დაწვრილებით გადმოცემა არ არის საჭირო. როგორც სერიოზული ანალიზი, ასევე კლოუნადა გარკვეული პოლიტიკური პოზიციის თვალსაწიერიდან წარმოებს. საქართველოში ეს ბევრად უფრო ძნელია და ყველაზე მწვავე კრიტიკა არა საწინააღმდეგო პოლიტიკური პოზიციიდან, არამედ უბრალოდ საღი გონების მხრიდან მომდინარეობს.

აი, მაგალითად, გასულ პარასკევს "რუსთავი 2"-ის ტოკ-შოუს ეთერში გამოვიდა თბილისის მერობის კანდიდატი კობა დავითაშვილი და ენით აუწერელი აბდაუბდა ილაპარაკა. როგორ შეიძლება ეს განვიხილოთ? — ჯერ ერთი, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს იყო, ასე ვთქვათ, აბსოლუტური აბდაუბდა, ანუ ამ სიტყვით არ ხდება მხოლოდ პოლიტიკურ მიდგომებში განსხვავების გაძლიერება. ამერიკელი გლენ ბეკი ამგვარ კურიოზს ალბათ ყველაზე ზოგადი პოლიტიკური კულტურის რაკურსიდან შეუტევდა: "შეხედეთ ამ ყმაწვილს, მერობის კანდიდატად წამოუყენებია თავი და იმას გვპირდება, რაზედაც, წესით, პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა ლაპარაკობდეს!". დაღვინებული ამერიკელი ელექტორატი, ბუნებრივია, მაშინვე მიხვდებოდა ყველაფერს.

მაგრამ საქართველოში, სადაც პოლიტიკური ქცევის წესები არ არის ხანგრძლივი ტრადიციით გამაგრებული, ამგვარ კრიტიკას, მიუხედავად მისი სამართლიანობისა, არანაირი ეფექტი არ მოჰყვებოდა, მას ვერც გაიგებდნენ.

აქაურმა საღად მოაზროვნემ სულ სხვა ხერხს უნდა მიმართოს, რადგან რეალური მნიშვნელობა კობა დავითაშვილის აბდაუბდას კი არა აქვს, არამედ იმას, თუ რა ჰქონდათ თავში იმ ბიჭუნებს, რომლებმაც რამდენიმე წლის წინათ კობა დავითაშვილისგან პოლიტიკური ფიგურა შექმნეს და ისე გაუშვეს შორეულ ნაოსნობაში, მგონი, არც ბორტზე შამპანურის მიმსხვრევა დავიწყნიათ. რაო, თავიდან არ ეტყობოდა, რა ჩიტიც ბრძანდებოდა?

მესამე. ამერიკაში დემოკრატები სხვადასხვანაირად იქცევიან, მაგრამ როგორც არ უნდა მოიქცნენ, მაინც იცნობ, რომ დემოკრატები არიან. იგივე ითქმის რესპუბლიკელებზეც. სხვა სიტყვებით, წინასწარ იცი, რომ რესპუბლიკელები ფეტვას არ გამოსცემენ და დემოკრატები არ დაიწყებენ იმის მტკიცებას, გაერომ რომის პაპის პრიმატი უნდა აღიაროსო. ჩვენმა საღად მოაზროვნემ კი რა ჰქნას? — ხან პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება უწევს ადრენალინს და ხან პროკურატურის მიერ აღძრული საქმეები უძლიერებს ნაღვლის გამოყოფას. ამაზე დიდი უბედურება კი ისაა, რომ არც არავინ უპაჭუნებს თვალს, ახლა ასეა საჭირო, თორემ შენ ხომ იცი, შენიანები ვართო.

გლენ ბეკს იმის გათვლაც არ სჭირდება, რას უნდა მოელოდეს თანამებრძოლებისა და მეტოქეებისაგან. აქ კი ამის ცოდნა არ არსებობს, რადგან ერთ მშვენიერ დღეს შენივე მეგობრები ისე დაგიშენენ ქვებს პარლამენტის ტრიბუნიდან, წარბსაც არ შეიხრიან. გლენ ბეკის მთავარი სამიზნე, ბარაკ ჰუსეინ ობამა, ყოველთვის ცხადი და საკუთარი თავის ტოლფასია — არასოდეს იქცევა, როგორც, მაგალითად, მუამარ კადაფი ან კიმ ჩენ ირი. ამიტომ მისი რესპუბლიკელი კრიტიკოსის მიერ მოხმობილი შედარებები მუდამ მხატვრულ ხერხებად რჩება და რიგითმა ამერიკელებმა იციან, რომ აქ მხოლოდ მათი ხმებისთვის იბრძვიან და არა მათი სიცოცხლისთვის. ჩვენთან კი?

არა, გლენ ბეკის პროექტი სრულიად გამოუსადეგარია იქ, სადაც არათუ პოლიტიკურ პოზიციას, უბრალოდ საღ აზრსაც კი არა აქვს გადარჩენის საშუალება. ჩვენში საღი აზრი ელექტორალური თვალსაზრისით ისეთ უმნიშვნელო სიდიდეს წარმოადგენს, რომ მის თვალში გამართლების ძიება სრულიად გაუმართლებელია. მაშ როგორ უნდა გააკეთო პოლიტიკური გადაცემა? როგორ უნდა განიხილო საზოგადოებრივი ცხოვრება? — ერთხელ უკვე დავწერე, რომ ამ ვითარებაში ყველაზე წარმატებულ სატელევიზიო პროექტებად კვლავაც ეროსი კიწმარიშვილის "რუსთავი-2" და არკადი პატარკაციშვილის "იმედი" რჩება, ხოლო ყველაზე ადეკვატურ ჟურნალისტურ ტაქტიკად ინგა გრიგოლიას მიერ დამკვიდრებული ტრადიცია, როცა რესპონდენტის ბოლო სამ სიტყვას მომდევნო კითხვად აქცევ და ამ კითხვით სხვა რესპონდენტს მიმართავ.

რას იზამ, უძალოთა ძალამ ვერა და ვერ იხარა საქართველოში, სამაგიეროდ სულელთა სიბრძნე ყვავის.

განა ამასვე არ გვიჩვენებს გია ნოდია 4 ნოემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში "სრული დეპოლიტიზაციის ქიმერა"? ტექსტში გასაგებად და ამომწურავად არის ახსნილი საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო და მის შიგნით წარმოქმნილ პრობლემათა მრავალი მიზეზი. განსაკუთრებით სახალისოა ეგრეთ წოდებული "მედია კლუბის" ამბავი, სადაც თავი მოიყარა ასამდე ადამიანმა პრინციპით: მაუწყებელი საზოგადოებრივია? — ჰოდა, საზოგადოებაც ჩვენა ვართ.

მოვიყვანოთ სტატიის დაბოლოება: "ბარონ მიუნჰაუზენის გამოთრევა ჩვენი პოლიტიკური ჭაობიდან რთულია და სასწაულების იმედი ტყუილად გვაქვს. საზოგადოებრივი მაუწყებელი ივერიას ერთბაშად ვერ გააბრწყინებს. უნდა ვესწრაფოდეთ საუკეთესოს, რაც ამ სიტუაციაში შესაძლებელია, და სრულყოფილების ძიებაში უარესი არ გავაკეთოთ". ოქროს სიტყვებია: მაგრამ ამ სიტყვების ფასი ყველა ვითარებაში ერთი და იგივეა — შეცვალე არსებითი სახელები და გამოიყენე ეს უნივერსალური სიბრძნე ჩვენი რეალობის ყველა სფეროში. ამიტომაც არ დავიწყე სტატიის განხილვა ჩვეულ რეჟიმში, თუმცა კი ყველაფერს ვეთანხმები, რაც კი მოყვანილ ციტატამდე დაიწერა.

სტატია ამავე გაზეთშია გამოქვეყნებული და, ვისაც სურს, შეუძლია წაიკითხოს. ბევრი ეგზეგეტიკა ამ გამჭვირვალე ტექსტს არ სჭირდება.

ერთი რამ არ მესმის: რატომ არის დეპოლიტიზაცია ქიმერა? — აქ რამდენიმე პასუხია შესაძლებელი: ვინც მისკენ ისწრაფვის, სინამდვილეში, დეპოლიტიზაცია კი არ სურს, არამედ ერთი პოლიტიკის მეორით შეცვლა; თავისთავად საზოგადოებრივი მაუწყებლის ბედს პოლიტიკოსები უნდა წყვეტდნენ, რადგან ჩვენთან ათენის აგორა კი არა, წარმომადგენლობითი დემოკრატიაა; დეპოლიტიზაცია თავისთავად ქიმერაა, რადგან, განმარტების თანახმად, პოლიტიკა ცხოვრების ყველა დონეზე აღწევს და ა.შ.

მაგრამ თუ სიტყვას "პოლიტიკა" ვიწროდ გავიგებთ, არც ისე რთულადაა საქმე: მოიხსნას ინფორმაცია და გართობა, გადაიქცეს საზოგადოებრივი ტელევიზია შემეცნებით-საგანმანათლებლო არხად და საქმესაც ეშველება... ბოლოს და ბოლოს, შეიძლება საერთოდ უარი ვთქვათ საზოგადოებრივ მაუწყებლობაზე როგორც ასეთზე. ეს ცალკე განხილვის საგანია. მოკლედ, დეპოლიტიზაცია არც ისეთი რთული პრობლემაა, თუ შესაბამისი პოლიტიკური ნება არსებობს.

უბედურება ისაა, რომ ქიმერა ამით არ ქრება: ნამდვილი ქიმერა არა დეპოლიტიზაცია, არამედ თვით ქართული პოლიტიკაა. მართლაც რომ ქიმერა: თხისა და ლომის კომბინაცია, რომელსაც საკუთარი სახე არ მოეპოვება და თუ მაინცდამაინც წარსულში ვეძებთ არქეტიპებს, სწორედ დავით აღმაშენებლის "გალობანი" იძლევა ქართული პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე ადეკვატურ აღწერას: "თითოეულთა მხეცთაგან შეზავებულსა მხეცსა ვემსგავსე, მრავალგვარსა და მრავალხატსა და სხუა ჟამ სხუებრ ხილულსა და მხსენარსა ბუნებისაებრ თითოეულისა"...

"რენო-ნისანის" ალიანსი საქართველოშიც ერთად იმუშავებს

მერაბ ლორთქიფანიძე

ფრანგული "რენოსა" და იაპონური "ნისანის" ალიანსი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საავტომობილო კონგლომერატია, რომელმაც შარშანდელი მონაცემებით, გაყიდვების მხრივ, მესამე ადგილი დაიკავა და მსოფლიო ბაზრის 9 პროცენტი მოიცვა. ალიანსს ერთი მთავარი აღმასრულებელი - კარლოს გონი მართავს, მაგრამ კარგა ხანს საქართველოში ის ორი ცალკეული დილერით იყო წარმოდგენილი.

6 ნოემბრიდან ეს ორი კომპანია ჩვენშიც ერთობლივად იმუშავებს. ისევე როგორც "რენო", ამიერიდან "ნისანიც" "იბერია ბიზნეს ჯგუფის" ქოლგის ქვეშ გაერთიანდა. ამის შესახებ სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე საზოგადოებას ჯგუფის პრეზიდენტმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, "რენოს" იმპორტიორის - "ავტო სტილის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ბერიამ და საქართველოში "ნისანის" წარმომადგენლობის დამფუძნებელმა ალექსანდრე ნიკოლაიშვილმა ამცნეს.

ნიშანდობლივია, რომ "რენოსა" და "ნისანის" ერთ შოურუმსა და სერვის-ცენტრში გაერთიანება იმ პერიოდს

"რენო/ნისანის" ახალი ცენტრის გახსნაზე ალექსანდრე ნიკოლაიშვილი (მარცხნივ) და ტარიელ ხეჩიკაშვილი სიმბოლურ ტორტს ჭრიან

თამარ კაკარაბელიანი ფოტო

დაემთხვა, როდესაც საქართველოში საავტომობილო ბაზარი გამოცოცხლებას იწყებს. აქტიურდებიან ბანკები, რომლებთან მჭიდრო თანამშრომლობასაც "იბერია ბიზნეს ჯგუფი" უახლოეს მომავალში უფრო ინტენსიურს გახდის. ეს კი გაყიდვების შემდგომი ზრდის საფუძველი იქნება. რაც მთავარია, ახალი ავტომობილების შეძენით დაინტერესებულ მოქალაქეებს მნიშვნელოვნად გაუადვილდებათ საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

შეგახსენებთ, რომ "იბერია ბიზნეს ჯგუფში" გაერთიანებულია ისეთი კომპანიების წარმომადგენლობები, როგორებიცაა: "ფოლკსვაგენი", "აუდი", "შკოდა", "კია", "მიცუბიში", "რენო" და ახლა უკვე "ნისანიც". გარდა ამისა, ჯგუფი საავტომობილო მაკომპლექტებლებისა და აქსესუარების იმპორტსაც ეწევა.

იქიდან გამომდინარე, რომ "რენოსა" და "ნისანის" ალიანსი აქტიურად მონაწილეობს ეკოლოგიურ პროექტებში, რომელთა შორისაც ყველაზე ფართოდ რეკლამირებული "ბეტერ პლეისია", "24 საათი" დაინტერესდა, აპირებს თუ არა "იბერია ბიზნეს ჯგუფი" ამ პროექტთან თანამშრომლობას.

ბატონი ხეჩიკაშვილის განმარტებით, "ბეტერ პლეისი" საქმიანობის გაცილებით ფართო სპექტრს მოიცავს, ვიდრე ავტომობილების რეალიზაცია და სერვისია. პროექტი იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, ელექტრომობილების მომსახურების უმძლავრესი ინფრასტრუქტურების შექმნას და ელექტრომობილებისთვის საჭირო ენერგიის გარემოსადმი მეგობრული საშუალებებით გამომუშავებას ითვალისწინებს, რისთვისაც უზარმაზარი კაპიტალდაბანდებებია საჭირო. ამიტომ, სახელმწიფოსგან შესაბამისი მხარდაჭერის გარეშე, ამ პროექტის საქართველოში განხორციელება წარმოუდგენლად ჩანს.

სამაგიეროდ, "იბერია ბიზნეს ჯგუფი" ქართველ ავტომოყვარულებს ჰპირდება, რომ ჩვენს ბაზარზე "რენოსა" და "ნისანის" იმ ელექტრომობილებს შემოიტანს, რომელთა გამოშვებასაც ეს ორი კომპანია უახლოეს მომავალში დაიწყებს. მთავარია, საქართველომ ამ კომპანიებისგან შესაბამისი კვოტები მიიღოს - ელექტრომობილებზე მთელს მსოფლიოში მზარდი მოთხოვნილების გამო, შედარებით მცირე ბაზრებზე მათი მიწოდება თავიდან კვოტირებული იქნება.

„საქართველოს ბანკი" სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს ამცირებს

ნინო ნარჩემაშვილი

"საქართველოს ბანკი" 16 ნოემბრიდან საპროცენტო განაკვეთებს ამცირებს. ამის შესახებ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე "საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა განაცხადა. მისი თქმით, საპროცენტო განაკვეთების შემცირება რამდენიმე ტიპის სესხსა და დეპოზიტებზე მოხდება - კერძოდ, შემცირდება საპროცენტო განაკვეთი იპოთეკურ სესხებზე და შეადგენს 14,5 პროცენტს, სამომხმარებლო სესხის საპროცენტო განაკვეთი 20 პროცენტიდან დაიწყება, ხოლო ავტო სესხის საპროცენტო განაკვეთი

16 პროცენტი იქნება. ასევე, თანამონაწილეობა ავტო სესხის შემთხვევაში 30 პროცენტი გახდება. შედარებისთვის, კრიზისის პერიოდში, იპოთეკური სესხის საპროცენტო განაკვეთი 18 პროცენტს შეადგენდა, სამომხმარებლო სესხის - 36 პროცენტს, ავტო სესხის შემთხვევაში კი საპროცენტო განაკვეთი 17 პროცენტს უტოლდებოდა და თანამონაწილეობა 50 პროცენტს შეადგენდა.

ბანკმა ასევე განაცხადა დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთის 0,75 პროცენტიდან 1 პროცენტამდე ფარგლებში შემცირების შესახებ, ანაბრის ვადიდან გამომდინარე.

"საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის, ირაკლი გილაურის თქმით, **"კლიენტთა დეპოზიტები კვლავაც მნიშვნელოვნად იზრდება, ასევე იზრდება მოთხოვნა სესხებზე. მიგვაჩნია, რომ ეს პოზიტიური სიგნალია ბაზრისთვის და მიუთითებს ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებაზე. "საქართველოს ბანკს" ამ ეტაპზე 360 მილიონი ლარის მოცულობის ჭარბი ლიკვიდობა აქვს, რომელიც, რასაკვირველია, დაკრედიტებას მოხმარდება."**

დაკიდევ, არანაკლებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მომხმარებლისთვის - "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის თქმით, იანვრიდან დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი კიდევ უფრო დაიწევს.

მალე - IPTV მაგთიკომისგან

HD მაღალი გარჩევადობის არხები, ეთერში გასული გადაცემების თავიდან ნახვისა და ონლაინ ვიდეოგაქირავებით სარგებლობის შესაძლებლობა

საქართველოში არ არსებობს უფრო ნოვატორული კომპანია, მაგთიკომივით რომ ზრუნავდეს სხვადასხვა სიახლეების დანერგვასა და მომხმარებლის მაღალხარისხიან მომსახურებაზე. მაგთიკომის არსებობის 12 წლიან ისტორიაში არ არის წელი, რომლის განმავლობაშიც რამოდენიმე სიახლე: ახალი პროდუქტი ან სერვისი არ დანეგილიყო. აღსანიშნავია ისიც, რომ სიახლეების შემოტანაში მაგთიკომი ლიდერი კომპანიაა. კომპანია დიდი ხანია გასცდა მხოლოდ მობილური კავშირგაბმულობის სფეროს და უკვე შარშან ქართველ მომხმარებელს შესთავაზა ახალი ბრენდი - უსადენო ფიქსირებული ტელეფონი - მაგთი ფიქსი. Uუკვე წელს, აგვისტოში ტექნიკურად ახალი, სწრაფი ინტერნეტკავშირი, რომელიც მაგთი ფიქსის სიხშირეზე (450 მგჰც) მუშაობს. მისი განხორციელებისათვის მაგთიკომმა ახალი ტექნოლოგია ე.წ. EVDO (Evolution Data Only) პირველმა დანერგა საქართველოში. ნოემბრის დასაწყისში მაგთიკომში კიდევ ერთი სიახლე მაგთი ბლექბერი გამოჩნდა - სერვისი, რომელიც ინტერნეტთან წვდომისა და ფოსტის კონტროლის საუკეთესო საშუალებაა...

კომპანიაში მიღწეულზე არასდროს ჩერდებიან:

უახლოეს მომავალში კომპანია მაგთიკომი საზოგადოებას კიდევ ერთ ახალ მომსახურებას IP TV-ის შესთავაზებს. IP TV ანუ ციფრული ტელევიზია აბონენტს IP ქსელით მიეწოდება. IPTV უახლესი ტექნოლოგიაა, რომლის მეშვეობიტთაც უკვე კარგად ნაცნობ მომსახურებას მომხმარებელი სრულიად განსხვავებული ხარისხით იღებს. სატელევიზიო არხების ტრანზიტი, რეტრანსლირება ცოტა ხნის წინ მხოლოდ ე.წ. საკაბელო ოპერატორებისა და თანამგზავრული მოწყობილობის მეშვეობით ხორციელდებოდა, მაყურებელი მხოლოდ მათი საშუალებით იღებდა ათობით და ასობით ტელეარხის გადაცემებს. ტექნოლოგიების განვითარებამ ეს მომსახურება ახალ საფეხურზე აიყვანა და მომხმარებლისთვის უფრო მოსახერხებელი გახადა.

მაგთი TV-ი ტელეარხებს მომხმარებელს ციფრულ ფორმატში მიაწვდის, რაც მათ საშუალებას მისცემს ისარგებლონ მაღალი ხარისხითა და დამატებითი სერვისებით, მათ შორის HD მაღალი გარჩევადობის არხებით, ეთერში გასული გადაცემების თავიდან ნახვისა და ონლაინ ვიდეოგაქირავებით.

მართლაც, მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმების, კონცერტების დაკვეთა კიდევ ერთი სპეციფიკური მომსახურებაა რომელიც მაგთი თV-ს მომხმარებლისათვის იქნება ხელმისაწვდომი. მათ განკარგულებაში იქნება უმდიდრესი კატალოგი, სადაც შევა მსოფლიო კინოს ყველა დროის შედევრი, პოპულარული მასობრივი კინოს ნიმუშები, საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული ფილმები, ანიმაცია ბავშვებისა და მოზრდილებისთვის, კონცერტები მელომანებისთვის. მაგთი TV-ის მაყურებელი ირჩევს მისთვის სასურველ ერთეულს კატალოგიდან, შინიდან გაუსვლელად თავისივე ტელეეკრანზე ახორციელებს შეკვეთას და მისთვის მოსახერხებელ დროს უყურებს სასურველ სანახაობას.

მაგთი TV -ი არ არის სამაუწყებლო კომპანია, ის არ აწარმოებს საკუთარ გადაცემებს. მისი ფუნქცია სხვა ტელეარხების ტრანზიტია, ანუ მათი მიღება და გადაცემა ტელეაუდიტორიისთვის.

ტელეარხები სხვადასხვა პაკეტების სახით იქნება შემოთავაზებული.

პაკეტების შერჩევისას, რაღა თქმა უნდა, გათვალისწინებულია თემატური მრავალფეროვნების პრინციპი, რაც ნებისმიერი კატეგორიის მაყურებელს მისთვის პრიორიტეტული არხების მოძიებისა და ყურების საშუალებას მისცემს.

უცილებლად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაგთი TV-ის პაკეტებში მხოლოდ ლიცენზირებული, ანუ ოფიციალურად შექმნილი და მხოლოდ ის სატელევიზიო არხები შევა რომელთაც აქვთ ტავისი მაუწყებლობის საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების უფლება, რაც მაყურებელს მათი სტაბილური მიღების გარანტიას მისცემს.

GeoSteel

შპს ჯეოსთილი

არმატურის საწარმოო ახალი ობიექტი უახლესი ტექნოლოგიით, რომელიც მოიცავს ფოლადსადნობ, საგლინავ, ჟანგბადისა და არგონის მწარმოებელ საამქროებს, ეძღვნება ქართველ ერს, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა

საქართველოს პატივცემული პრეზიდენტის

ბატონი მიხეილ სააკაშვილის

-მიერ

პროდუქცია: **A500C** მარკის, გოსტ 5781-82; გოსტ 10884-94 სტანდარტების შესაბამისი არმატურა; 8 – 32მმ დიამეტრების ფარგლებში.

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

+995 95 919857
+995 95 489614
+995 32 243795

Web: www.geosteel.com.ge
E-mail: sales@geosteel.com.ge

ერთად ვაშენოთ საქართველო

ზურაბ პოლოლიკაშვილი: სიახლეები, რომელსაც მთავრობა ბიზნესს შესთავაზებს, პროცედურების გამარტივებას უკავშირდება

სიახლეები, რომელსაც საქართველოს მთავრობა მალე ქართულ ბიზნესს შესთავაზებს, პირველ რიგში პროცედურების გამარტივებას უკავშირდება, - ამის შესახებ ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, მთავრობა ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ეკონომიკის ლიბერალიზების პროექტიდან გამომდინარე გეგმავს.

"ეკონომიკის ლიბერალიზების პროექტიდან გამომდინარე იგეგმება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რაც უკავშირდება ძირითადად პროცედურების გამარტივებასა და არსებული გადასახადების გადახედვას", - განაცხადა პოლილიკაშვილმა.

როგორც მან აღნიშნა, ამ საკითხებზე მალე პრეზენტაცია გაიმართება, სადაც უკვე კონკრეტულად გახდება ცნობილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სიახლეების შეთავაზება მოხდება ბიზნესისადმი.

ქართული კერძო სექტორისადმი სიახლეების შეთავაზებასთან დაკავშირებით განცხადება რამდენიმე დღის წინ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა გააკეთა.

"დაცული მოძრაობა" - გმირთა მოედანი-თამარაშვილის ქუჩის შემაერთებელი ახალი გზა ეკოლოგიურ მდგომარეობას გააუმჯობესებს

ასოციაცია "დაცული მოძრაობა" ამტკიცებს, რომ გმირთა მოედანი-თამარაშვილის ქუჩის შემაერთებელი ახალი გზა განტვირთავს საავტომობილო მოძრაობას და მდინარე ვერესა და მთლიანად ხეობის ეკოლოგიურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

ამის შესახებ ასოციაციის წარმომადგენელმა დავით მესხიშვილმა დღეს, "დაცული მოძრაობის" მიერ ჩატარებული კვლევისა და გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით განაცხადა. მოძრაობამ ამ საკითხის შესწავლა საზოგადოებაში, კერძოდ კი, ზოგიერი ოპოზიციური პარტიის მიერ აღნიშნული მშენებლობის კრიტიკის შემდეგ გადაწყვიტა.

როგორც მესხიშვილმა აღნიშნა, ასოციაციის მიერ ორი კვირის განმავლობაში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა, რომ გამოკითხული 1500 მძღოლიდან დაახლოებით 85% ამ პროექტს დადებითად აფასებს და მიიჩნევს, რომ ახალი გზა ვაკე-საბურთალოს რაიონში საცობებს საგრძნობლად განტვირთავს. ამასთანავე, ასოციაციამ დაადგინა, რომ მშენებლობის შედეგად გაუქმდება ის უკანონო საკანალიზაციო მილები, რომლებიც მდინარე ვერეს 250 წერტილში აბინძურებენ და გაკეთდება სპეციალური საკანალიზაციო კოლექტორები, რაც ეკოლოგიურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

სასამართლო "ენგურჰესთან" დაკავშირებით დოკუმენტზე გრიფის მოხსნის შესახებ გადაწყვეტილებას ხვალ გამოაცხადებს

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია "ენგურჰესთან" დაკავშირებით დოკუმენტზე გრიფის მოხსნის შესახებ გადაწყვეტილებას გამოაცხადებს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" ადვოკატმა ნათია კორკოტაძემ განუცხადა, თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა უკვე გაიმართა. სასამართლომ "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის", გაზეთ "რეზონანსისა" და "კონსერვატიული პარტიის" სარჩელები ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ გააერთიანა. მოსარჩელეები ენერგეტიკის სამინისტროსა და "ინტერ რაო ეი-ი-ეს"-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის საჯაროობას ითხოვენ. მათი მტკიცებით, აღნიშნული დოკუმენტი საიდუმლო არ არის და გრიფი არ უნდა დადებოდა.

ნათია კორკოტაძის განცხადებით, გაზეთ "რეზონანსმა" ენერგეტიკის სამინისტროს აღნიშნული მემორანდუმი მოსთხოვა, სამინისტრო ვალდებული იყო როგორც საჯარო დოკუმენტი 24 საათის განმავლობაში მიეწოდებინა, თუმცა მეორე დღეს გრიფი დაადეს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" "კონსერვატორმა" ბიძინა გუჯაბიძემ განუცხადა, რუსეთსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის კორუფციული გარიგებაა და ამიტომ არ უნდათ დოკუმენტის გასაჯაროება.

დოუ ჯონსი, მიუხედავად ყველაფრისა, ათი ათასზე მეტია

პირველი გვერდიდან

მაგრამ ასეთი მკვეთრი, 2%-იანი ცვლილება, რაც უკანასკნელ დროს ხშირად ხდება, განპირობებულია იმით, რომ ბაზარს ჯერ ვერ გაურკვევია, გაგრძელდება ფასების ზრდის ტენდენცია, შეიცვლება ის საპირისპიროთი თუ მოხდება სტაბილიზაცია რომელიმე დონეზე. ამიტომ საფონდო ბაზარი ყოველ ახალ ამბავზე, ნეგატიურზე თუ პოზიტიურზე, უაღრესად ნერვიულად რეაგირებს. აქედან არის აქციების ფასების მკვეთრი ცვალებადობა (ვოლატილობა). უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ კვირებში ეს ბაზარი კარგი ამბებით არ არის განებივრებული. და, მიუხედავად ყველაფრისა, დოუ ჯონსის მაჩვენებელი ათი ათასზე მეტია.

ახალი ამბები კი წინა კვირას საკმაოდ ბევრი იყო, განსაკუთრებით ამერიკულ ეკონომიკაში. გლობალური კრიზისის კიდევ ერთი გამოძახილი წინა კვირას იყო ერთ-ერთი უდიდესი გაკოტრება ამერიკის ბიზნესის ისტორიაში. ფინანსურმა კომპანიამ CIT Group-მა, გაკოტრების შესახებ კანონის შესაბამისად, ნიუიორკის სასამართლოს კრედიტორებისგან დაცვის თხოვნით მიმართა. CIT Group-ის ისტორია ას წელიწადზე მეტს ითვლის. მისი აქტივები 60 მილიარდ დოლარს აღემატება. კომპანიის ძირითადი საქმიანობა კი საშუალო და მცირე ბიზნესის დაკრედიტებაა. უკანასკნელ ორ წელიწადს კომპანიის ზარალმა 3 მილიარდი დოლარი შეადგინა. მიუხედავად გაკოტრების პროცესის დაწყებისა, კომპანია საქმიანობას გააგრძელებს. უკვე მოწონებულია მისი რეორგანიზაციის გეგმა, რომელიც მის ვალდებულებებს 10 მილიარდი დოლარით შეამცირებს.

უაღრესად აქტიური იყო წინა კვირას ამერიკის ადმინისტრაცია. მისი ინიციატივით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტი მიიღო, რომლის მიხედვითაც გაფართოვდა საგადასახადო კრედიტი სახლის მყიდველებისთვის და შეღავათები უმუშევრებისთვის.

ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრ ტიმოთი გეითნერის (Timothy Geithner) განცხადებით, ეკონომიკური ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა მთავარ პრიორიტეტებად რჩება ამერიკის ადმინისტრაციის ეკონომიკურ პოლიტიკაში. რაც შეეხება ამერიკის გიგანტურ საბიუჯეტო დეფიციტს, მისი შემცირება, გეითნერის სიტყვებით, შემდეგი ეტაპის ამოცანა იქნება. ამასთანავე, მას გადასახადების გაზრდა აუცილებლად არ მიაჩნია. კერძოდ, მან დაადასტურა პრეზიდენტ ობამას დაპირება, რომ საგადასახადო დატვირთვა არ გაიზრდებოდა მათთვის, ვისი შემოსავალიც 250 000 დოლარს არ აღემატება. გეითნერის აზრით, საჭიროა გაიზარდოს მცირე ბიზნესის ხელშეწყობა. მან შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ბანკები მცირე ბიზნესისათვის კრედიტების მიცემას ძალიან ფრთხილობენ. ფინანსთა მინისტრი შეჩერდა აგრეთვე ჯანმრთელობის რეფორმის აუცილებლობაზე, რომელსაც აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ამ რეფორმას ძალიან დიდი დაფინანსება სჭირდება, რაც გართულებულია ფინანსური კრიზისისა და გიგანტური საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში. "გრძელვადიანი დეფიციტის გასაზრდელად საუკეთესო გზაა არ ჩავატაროთ ჯანმრთელობის დაცვის რეფორმა," - განაცხადა გეითნერმა.

პრეზიდენტმა ობამამ ამერიკელები გააფრთხილა, რომ მიუხედავად ეკონომიკის გაჯანსაღებისა, უმუშევრობის მაღალი ტემპი კიდევ გარკვეული დროის განმავლობაში იქნება შენარჩუნებული. მისი სიტყვებით, საჭიროა რამდენიმე თვე მას შემდეგ, რაც ბიზნესი მოგების მიღებას დაიწყებს, რათა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა დაიწყოს. მან აღნიშნა აგრეთვე ეკონომიკური ზრდის ახალი მოდელის შემუშავების აუცილებლობა, რათა წარსულის შეცდომები აღარ იქნას დაშვებული.

გლობალური ეკონომიკური კრიზისის მიზეზი ხელფასების შემცირების ტენდენციაში უნდა ვეძებოთ, რომელიც უკვე დიდი ხანია დამკვიდრებულია მსოფლიოში. ასეთია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის აზრი, რომელიც ამ ორგანიზაციამ გამოთქვა თავის მოხსენებაში "გლობალური მოხსენება 2009 წლის ხელფასებზე". მოხსენებაში ნათქვამია, რომ ხელფასის ოდენობის სტაგნაცია წინა ათწლეულის განმავლობაში, მაშინ როდესაც იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება, ფასები და ეკონომიკა მთლიანად, აიძულებდა ადამიანებს, მოხმარება კრედიტების საშუალებით დაეკმაყოფილებინათ. მოხსენების ავტორები ბიზნესს მოუწოდებენ, აღადგინოს კავშირი ხელფასის ოდენობასა და შრომის ნაყოფიერებას შორის, ხოლო მთავრობებს - მიიღონ ზომები სოციალური უთანასწორობის ზრდის წინააღმდეგ.

მიუხედავად ნავთობზე ფასის კორექციისა კვირის ბოლოს, ეს ფასი საკმაოდ მაღალ დონეზე შენარჩუნდა, რაც ადასტურებს ჩვენ მიერ სისტემატურად გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ნავთობის ფასი შევიდა ფასების ახალ კორიდორში და მისი დაცემა 70 დოლარზე დაბლა ნაკლებად სავარაუდოა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ოქროს ფასიც, რომელიც 1100 დოლარ/ტრ.უნციას მიუახლოვდა.

საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტი ყატარში, რომლის შედეგიც უნდა იყოს დიდძალი ინვესტიციების მოზიდვა ყატარიდან საქართველოში. ამას სასიცოცხლო აქვს მნიშვნელობა ქართული ეკონომიკისათვის, იმიტომ, რომ თუ მომავალ წელს მკვეთრად არ გაიზარდა უცხოური ინვესტიციები, ჩვენ კიდევ ერთი ძალიან ცუდი წელი გველის.

ხუთშაბათს, როდესაც მთელ მსოფლიოში აქციების ფასები მკვეთრად იზრდებოდა, აქციების ფასი დაეცა საქართველოს საფონდო ბირჟაზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართული ეკონომიკა დანარჩენი მსოფლიოს ეკონომიკისაგან განსხვავებულ განზომილებაში ცხოვრობს.

საქმე ის არის, რომ ქართული ეკონომიკა გლობალური ეკონომიკის ღრმა პროვინციად რჩება მისი განუვითარებლობის, ეკონომიკური გაუნათლებლობის და მსოფლიო ეკონომიკასთან დაბალი დონის ინტეგრაციის გამო.

კორპორაციული ამბებიდან წინა კვირას აქტუალური იყო ავტოსამრეწველო კომპანიებთან დაკავშირებული ამბები. ავტომწარმოებლები ოქტომბერში გაყიდვების ზრდას აღნიშნავენ, სექტემბრისგან განსხვავებით, როდესაც ადგილი ჰქონდა გაყიდვების ძალიან დაბალ დონეს. ამასთანავე, წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით გაყიდვები გაეზარდათ "ჯენერალ მოტორსს" (General Motors) "ფორდ მოტორს" (Ford Motor) და "ნისანს" (Nissan). იგივე დონეზე დარჩა გაყიდვები "ტოიოტა მოტორსსა" (Toyota Motor) და "ჰონდა მოტორსში" (Honda Motor). 30%-ით შეუმცირდა გაყიდვები "კრაისლერს" (Chrysler Group).

ერთადერთი ამერიკული ავტომწარმოებელი, რომელმაც კრიზისი დიდი დანაკარგების გარეშე გაიარა, ეს არის "ფორდ მოტორი".

ამ კომპანიის მყარი ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი აღმოჩნდა მისი მაჩვენებლები 2009 ფინანსურ წელს. უფრო მეტიც, ეს მაჩვენებლები ყველაზე დიდი ოპტიმისტებისთვისაც სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. კომპანიის მოგებამ ამ წელს 997 მილიონი დოლარი (29 ცენტი აქციაზე) შეადგინა, უკეთესი, ვიდრე წინა წელს, როდესაც კომპანიის მოგება 161 მილიონი (7 ცენტი აქციაზე) იყო. კომპანიამ მთელ მსოფლიოში 1,23 მილიონი მანქანა გაყიდა, რაც 5%-ით მეტია, ვიდრე წინა წელს. განსაკუთრებით წარმატებული იყო "ფორდ მოტორის" საქმიანობა ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც გაყიდვები 2.9 მილიარდი დოლარით გაიზარდა, ანუ 27%-ით, და 13.7 მილიარდ დოლარს მიაღწია. კომპანიის გაყიდვებმა მთელ მსოფლიოში 30.9 მილიარდ დოლარს მიაღწია.

მოულოდნელი განვითარება მიიღო მოვლენებმა გერმანული "ოპელის" (Opel) ირგვლივ. "ჯენერალ მოტორსმა" (General Motors) გადაწყვიტა, ეს საწარმო კანადურ-რუსულ კონსორციუმს აღარ მიყიდოს და თავის შემადგენლობაში დაიტოვოს. შეგახსენებთ, რომ სულ რაღაც ერთი თვის წინათ "ჯენერალ მოტორსმა" გამოაცხადა, რომ გარკვეულ პირობებზე მიყიდის ძოპელს" კანადურ-რუსულ კონსერციუმს, რომლის შემადგენლობაშიც იყო კანადური მანქანათმშენებელი საწარმო "მაგნა" (Magna International) და რუსული "სბერბანკი." გადაწყვეტილების შეცვლის მიზეზად "ჯენერალ მოტორსმა" შეცვლილი საბაზრო პირობები და კონცერნისათვის "ოპელის" სტრატეგიული მნიშვნელობა დაასახელა.

და ბოლოს, ჩინეთის ეროვნული განვითარების და რეფორმების კომისიამ ამერიკულ კომპანია "უოლთ დისნეის" ნებართვა მისცა, ჩინეთის უდიდეს ქალაქ შანხაიში გასართობი თემატური პარკი ააშენოს. "უოლთ დისნეის" პრეზიდენტ რობერთ იგერის განცხადებით, ეს კომპანიისათვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იყო, რადგან ჩინეთი, მისი სიტყვებით, ერთ-ერთი ყველაზე უფრო დინამიკური, მიმზიდველი და მნიშვნელოვანი ქვეყანაა მსოფლიოში.

მიხეილ ქარელს 16-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

შიდა ქართლის ყოფილ გუბერნატორ მიხეილ ქარელს გორის რაიონულმა სასამართლომ განაჩენი გამოუტანა. მოსამართლე ნიკოლოზ მარსაგიშვილის განაჩენით, მიხეილ ქარელს 16 წლით პატიმრობა მიესაჯა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრესცენტრის ინფორმაციით, სასამართლომ მიხეილ ქარელი დამნაშავედ ცნო კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლის (სსკ-ის 190-ე მუხლი), სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების (სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი), სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობის (სსკ-ის 337-ე მუხლი) და ქრთამის აღების (სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ","გ","დ" და "ე" ქვეპუნქტებით) ბრალდებებით და, საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით. ქართველმა სამართალდამცველებმა მიხეილ ქარელზე ძებნა გამოაცხადეს.

აღსანიშნავია, რომ გარდა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული ზემოაღნიშნული სასჯელისა, საქართველოს პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულ-გუბერნატორ მიხეილ ქარელს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 41-ე და 43-ე მუხლების შესაბამისად, დამატებით სასჯელად დაენიშნა თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა სამი წლის ვადით. რაც ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულ მიხეილ ქარელს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის მომენტიდან სამი წლის განმავლობაში ეკრძალება დაიკავოს დანიშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 604-ე მუხლის შესაბამისად, მიხეილ ქარელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის ასლი - დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის ნაწილში, აღსასრულებლად გადაეგზავნა შიდა ქართლის პრობაციის ბიუროს.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 103-ე მუხლის თანახმად, "მოხელე თავისუფლდება სამსახურიდან გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო".

"იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა არანაირი დოკუმენტი მიხეილ ქარელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ხოლო რწმუნებულ-გუბერნატორის დანიშვნის ან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტა უშუალოდ შედის მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენციაში და, აგრეთვე, ვინაიდან მიხელ ქარელს, დამატებითი სასჯელის სახით, სამი წლის განმავლობაში აეკრძალა დანიშვნითი თანამდებობის დაკავება სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, განაჩენის ასლი, მოსამართლის თანაშემწის მიერ გადაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რაც სრულად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს," - ნათქვამია უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ყოფილი გუბერნატორი სამართალდამცველებმა 2007 წლის 23 სექტემბერს საქართველოს დატოვების მცდელობის დროს დააკავეს. იმავე დღეს საქალაქო სასამართლომ მას წინასწარი აღმკვეთი ღონისძიების სახით ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. მოგვიანებით, შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი გირაოს - 200 ათას ლარის გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს. თუმცა, რამდენიმე დღეში, მიხეილ ქარელს აღმკვეთ ღონისძიებად შეფარდებული გირაო პატიმრობით შეეცვალა და ის პროკურატურამ ძებნილად გამოაცხადა. საქმე ისაა, რომ გირაოთი გათავისუფლებულმა მიხეილ ქარელმა საქართველო დატოვა და თავის მეგობარ ირაკლი ოქრუაშვილთან საფრანგეთში ჩავიდა, სადაც ის საფრანგეთის პოლიციას ჩაბარდა. ვერსალის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მიხეილ ქარელს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა, თუმცა ორ დღეში, მას შემდეგ, რაც ყოფილმა გუბერნატორმა საფრანგეთს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა, პატიმრობიდან გაათავისუფლეს. ქარელის ინტერესებს ირაკლი ოქრუაშვილის ფრანგი ადვოკატი პიერ ლევი იცავდა.

როგორ გადაკვეთა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებისა და ბოროტად გამოყენებში, სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობასა და ქრთამის აღებაში ბრალდებულმა მიხეილ ქარელმა ქვეყნის საზღვრები ეს უცნობია.

საკუთარი ინფორმაცია

გასამრჯელო პრობაციონერებისთვის

პრობაციის რეგიონალური ბიუროები მათ კონტროლს დაქვემდებარებული პირების დასაქმების მიზნით, სხვადასხვა ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებს კვლავ აწარმოებენ.
არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტი სწორედ პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაა.

პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება ხელს უწყობს არა მხოლოდ მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ დანაშაულის პრევენციას. ამ მიზნით, პრობაციის ბიუროები პირობით მსჯავრდებულთა დასაქმების თხოვნით სახელმწიფო და კერძო კომპანიებთან მოლაპარაკებებს მუდმივად აწარმოებენ რის შედეგადაც არაერთი პრობაციონერი როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უკვე დასაქმდა.

"პრობაციონერების მიმართ ასეთი თანადგომა ხელს უწყობს საზოგადოებაში მათ რეინტეგრაციასა და რესოციალიზაციას", - აცხადებენ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტროში.

პრობაციის ეროვნული სამსახურის ხელშეწყობით, სამეგრელოს რეგიონში კიდევ ორი პრობაციონერი დასაქმდა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ინფორმაციით, სამეგრელო-ზემო სვანეთის პრობაციის ბიუროს თხოვნით, ორი პირობით მსჯავრდებული სამშენებლო კომპანიამ "მაკრონები XXI" დაასაქმა. საწყის ეტაპზე ისინი ცაიშის საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოებზე, კერძოდ, სახურავის შეკეთებაზე იმუშავებენ. თითოეული მათგანი ხელფასის სახით ყოველთვიურად 400 ლარს მიიღებს.

სამგრელო-ზემო სვანეთის პრობაციის ბიუროს ძალისხმევით, სამეგრელოს რეგიონში ამ ეტაპზე სულ 8 პირობით მსჯავრდებულია დასაქმებული - 5 სამშენებლო კომპანიაში "მაკრონები XXI", 3 - რესტორანში "ლაკადა" .

სამცხე-ჯავახეთის პრობაციის ბიუროს შუამდგომლობით კი ნინოწმინდაში სამი პირობით მსჯავრდებული სხვადასხვა კომპანიაში დასაქმდა.

სამშენებლო კომპანია შპს "შინაარ-2007"-ში დასაქმებული პრობაციონერი დღეში 15 ლარს მიიღებს ანაზღაურებას. შპს "საპაზა"-ში დასაქმებული პრობაციონერისთვის თვეში 200 ლარის ოდენობის ხელფასი გაიცემა. ხოლო რაც შეეხება შპს "ეს-ჯე-გა კომპანი"-ში დასაქმებულს, მას თვეში 350 ლარი ხელფასი ექნება.

საკუთარი ინფორმაცია

ცოტნე გამსახურდიას ადვოკატი ახალ მტკიცებულებებს გამოაქვეყნებს

ადვოკატი ქეთი ბექაური ცოტნე გამსახურდიას საქმესთან დაკავშირებით, დღეიდან

"ახალი მტკიცებულებების" გამოქვეყნებას აპირებს.

"ახალი მტკიცებულებების გამოქვეყნებას დავიწყებთ, რომელიც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფისთვის წინასწარი ორთვიანი პატიმრობის შეფარდების გადახედვის და საქმის ხელახალი გამოძიების დაწყების საფუძველი გახდება," - აცხადებს ადვოკატი და საქმეში დაზარალებულად ცნობილი დავით ბაჯელიძის დაკითხვას მოითხოვს.

"გამოძიებას დაზარალებული ბაჯელიძე ჯერ კიდევ არ დაუკითხავს, არადა ის უკვე კარგადაა და პალატაშია გადაყვანილი. ეს ფაქტიც მიუთითებს იმაზე, რომ გამოძიება არაობიექტურად მიმდინარეობს", - აცხადებს ადვიკატი.

ცოტნე გამსახურდია მეზობლის დავით ბაჯელიძის დაჭრისთვის 27 ოქტომბერს დააპატიმრეს. მას განზრახ მკველელობის მცდელობისა და იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარების ბარლდებით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული და გლდანის მე-8 საპყრობილეშია მოთავსებული. ის უკვე მე-12 დღეა შიმშილობს.

როგორც მისი ადვოკატი აცხადებს, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ საგანგაშოა.

მისივე განმარტებით, ცოტნე გამსახურდია ექიმებმა უკვე რამდეჯერმე გასინჯეს.

"ცოტნე გამსახურდიამ შიმშილობა იმ დღიდან გამოაცხადა, რაც დააპატიმრეს. შიმშილობის აქციის შეწყვეტას იქამდე არ აპირებს, ვიდრე მის საქმეზე ჭეშმარიტება არ დადგინდება," - აცხადებს ადვოკატი.

ჯი-ეიჩ-ენი

მტკვარში 18 წლის ბიჭი გადახტა

მტკვარში 18 წლის ბიჭი გადახტა. ინციდენტი მეტეხის ხიდთან გუშინწინ გვიან ღამით მოხდა. ადგილზე სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები დროულად მივიდნენ, რის გამოც, ომარ ჯიმშელეიშვილის გადარჩენა შესძლეს. მას პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზევე ჩაუტარდა. ამჟამად მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

როგორც გაირკვა, ჯიმშელეიშვილი მტკვარში გადახტომისას არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ჯი-ეიჩ-ენი

დაჭრილის მდგომარეობა რთულია

ორი დღის წინ აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის წევრმა ვიაჩესლავ ვარდანიამ გალში მცხოვრებ ქართველ მშვიდობიან მოქალაქეს გენო გერძმავას ხუთი ტყვია ესროლა.

ინციდენტი გალში მოხდა. დაჭრილი გალის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ამ დრომდე იმყოფება და მძიმე მდგომარეობაშია.

როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თორნიკე კილანავამ განაცხადა, ერთ-ერთი ვერსიით, ვარდანიამ იმიტომ ესროლა გერძმავას, რომ შვილი რუსული სკოლიდან ქართულ სკოლაში გადაჰყავდა.

მედიანიუსი

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დაწესებულება - დაჩქარებული ტემპით

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და მინისტრის მოადგილე ლევან ზარანდიამ რუსთავის №1 მკაცრი და საერთო რეჟიმის დაწესებულების ტერიტორიაზე მშენებარე კორპუსები დაათვალიერეს.

როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში აცხადებენ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დაწესებულების მშენებლობა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს და ექსპლუატაციაში დაგეგმილზე ადრე, 2010 წლის მარტში შევა.

ნახევრად ღია ტიპის მშენებარე საცხოვრებელი კორპუსი სამსართულიანია, საკნები 6 და 8 მსჯავრდებულზე, მთლიანად კორპუსი კი 2000 პატიმარზეა გათვლილი. საცხოვრებელი კორპუსის გარდა დაწესებულების ტერიტორიაზე შენდება სამედიცინო ნაწილიც. ახალი კორპუსების ექსპლუატაციაში შესვლისთანავე დაწესებულებაში პატიმართათვის გათვალისწინებული და საჭირო ყველა პროგრამა ამოქმედდება. რუსთავის №1 მკაცრი და საერთო რეჟიმის დაწესებულებაში ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი კორპუსი ფუნქციონერებს და იქ ქალი მსჯავრდებულები იმყოფებიან. ქალი მსჯავრდებულები რუსთავის №1 დაწესებულებაში №5 ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან 18 აპრილს მომხდარი ბუნტის შემდეგ გადაიყვანეს.

აფხაზ გამგებელზე ძებნა გამოცხადდა

ე.წ. აფხაზურმა მილიციამ გალის რაიონის სოფელ ფიჩორის აფხაზ გამგებელი ზურაბ გვარამიაზე ძებნა გამოაცხადა.

როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თორნიკე კილანავამ განაცხადა, ერთ-ერთი ვერსიით, ზურაბ გვარამია ქართულ სკოლებში ქართველების სწავლების საკითხს გამოესარჩლა და სწორედ ამ ფაქტს მოჰყვა მის მიმართ დევნის დაწყება. მას ფინანსურ დარღვევებს ედავებიან. დაკავებულია გამგებლის ორი თანაშემწე, ხოლო თავად გამგებელი გაიქცა.

მედიანიუსი

ამერიკის წარმომადგენელთა პალატამ სამედიცინო რეფორმას დაუჭირა მხარი

აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონი პრეზიდენტ ობამას მიერ შემოთავაზებულ სამედიცინო დაზღვევის სისტემის რეფორმაზე. კანონის საბოლოოდ დამტკიცების შემდეგ სამედიცინო მომსახურება ამერიკელთა უმრავლესობისთვის ხელიმისაწვდომი გახდება.

სამედიცინო რეფორმის შესახებ კანონის მიღების წინ ობამა კონგრესმენებს სტუმრობდა. აღნიშნული რეფორმის რეალობად გადასაქცევად ობამას მოუწია არა მარტო ოპოზიციური "რესპუბლიკური პარტიის", არამედ საკუთარი "დემოკრატიული პარტიის" ნაწილის წინააღმდეგობის გადალახვაც.

წარმომადგენელთა პალატაში 258 "დემოკრატი" წევრია, "ნიუ-იორკ თაიმს"-ის მონაცემებით, მათგან პარასკევს 205 უჭერდა მხარს ჯანმრთელობის დაცვის რეფორმას. კანონის მისაღებად კი 218 კონგრესმენის თანხმობაა საჭირო. კანონს საბოლოოდ 220-მა კონგრესმენმა დაუჭირა მხარი, 215 კი წინააღმდეგ გამოვიდა. ახლა აღნიშნულ კანონს ამერიკის სენატი განიხილავს. წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ნენსი პელოსიმ ხმის მიცემას ისტორიული უწოდა და 1935 წელს მიღებულ სოციალურ უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს კანონს და 1965 წელს ჯანმრთელობის დაცვის აქტის მიღებას შეადარა.

პრეზიდენტი ობამაც მიესალმა წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილებას. პრეზიდენტის თქმით, დარწმუნებულია, რომ სენატიც ქვედა პალატის მაგალითს გაიზიარებს. ადრე ობამამ იმედი გამოთქვა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმის შესახებ კანონის საბოლოო ვარიანტს უკვე წლის ბოლოსთვის მოაწერდა ხელს.

"კანონი ამერიკელების 96 პროცენტს უზრუნველყოფს დაზღვევით. ყველა, მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობისა და შემოსავლებისა, დარწმუნებული იქნება, რომ მიიღებს სამედიცინო მომსახურებას, თუ ეს დასჭირდება და ეს მისთვის ხელმისაწვდომი იქნება," - განაცხადა 83 წლის "დემოკრატმა" კონგრესმენმა მიჩიგანიდან ჯონ დინგელმა. დინგელი ამერიკის საკანონმდებლო ორგანოში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ყველა კანონს წარადგენს მას შემდეგ, რაც 1955 წელს კონგრესში მამამისის ადგილი დაიკავა.

შაბათს ობამას გულახდილი საუბრები ჰქონდა ცალკეულ კონგრესმენებთან, შემდეგ კი საჯაროდ მოუწოდა მათ, მხარი დაეჭირათ კანონისთვის. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მსგავსი შესაძლებლობა შეიძლება გაჩნდეს "ერთხელ მთელი თაობის ცხოვრების განმავლობაში". **"იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს რთული გასაკეთებელია - და განსაკუთრებით სწორედ ამ შემთხვევაში, ჩვენ აუცილებლად უნდა ვიმოქმედოთ. მე მოვუწოდებ კონგრესის წევრებს, გაიაზრონ ამ მომენტის მნიშვნელობა, უპასუხონ ისტორიის მოწოდებას და ხმა მისცენ ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის რეფორმას ამერიკაში,"** - განაცხადა ობამამ.

სამედიცინო რეფორმა პრეზიდენტ ობამას საპრეზიდენტო პროგრამის მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ამჟამად, დაახლოებით, 47 მილიონ ამერიკელს არ აქვს დაზღვევა და 25 მილიონი ამერიკელის დაზღვევა სამედიცინო მომსახურებს მთელ ხარჯებს ვერ ფარავს. წარმომადგენელთა პალატის მიერ მხარდაჭერილი კანონპროექტის მომხრეები ამბობენ, რომ ამ კანონის დახმარებით დამატებით 36 მილიონი ამერიკელი მიიღებს სამედიცინო მომსახურებას და სამედიცინო დაზღვევა ქვეყნის მთელი მოსახლეობის 96 პროცენტს ექნება.

"რესპუბლიკელები" ამ კანონის წინააღმდეგ გამოდიან. მას უწოდებენ ეკონომიკისთვის ძალიან ძვირს, რომელიც ეკონომიკურ სტაბილურობას უქმნის საფრთხეს.

თუ ობამას მიერ შემოთავაზებული კანონი საბოლოოდ იქნება მიღებული, ამერიკის მთავრობა სამედიცინო დაზღვევას მოქალაქეებს მიყიდის კერძო კომპანიებს მსგავსად. მთავრობა ასევე მოახდენს დაზღვევის სუბსიდირებას მათთვის, ვისაც ამის საშუალება არა აქვს, მსხვილ კომპანიებს კი დაავალდებულებენ საკუთარი თანამშრომლების უზრუნველყოფას დაზღვევით.

ამასთან, სადაზღვევო კომპანიები უარით ვეღარ გაისტუმრებენ იმ ხალხს, ვისაც უკვე დადგენილი აქვთ სერიოზული ავადმყოფობა, ასევე მათ არ შეეძლებათ ფასების მომატება სქესის ან წინა ავადმყოფობის საფუძველზე.

ობამას მიერ შეთავაზებული კანონი მას შემდეგ მიიღეს, რაც მასში აბორტის შესახებ ნორმები გამკაცრდა. ექსერტთა შეფასებით, ამან დააკმაყოფილა კონსერვატორ კონგრესმენთა მოთხოვნები - როგორც "რესპუბლიკელების", ასევე "დემოკრატების" რიგებში.

ამერიკის სენატმა შესაძლოა სამედიცინო დაზღვევის კანონის საკუთარი ვარიანტი მიიღოს (კანონები პალატებში ცალ-ცალკე შედის და ასევე ცალ-ცალკე მუშავდება), რის შემდეგაც სენატორებისა და წარმომადგენელთა პალატის წევრებისგან შემდგარი სპეციალური კომიტეტი ერთიან ვერსიას შეათანხმებს. განახლებულ კანონპროექტს კონგრესის ორივე პალატამ უნდა დაუჭიროს მხარი. პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ კი ის უკვე ძალაში შევა.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აქამდე ერთადერთი განვითარებული სახლემწიფო იყო, რომელსაც ჯანმრთელობის დაზღვევის აღნიშნული სისტემა არ გააჩნდა.

მოამზადა თამთა კახაძემ

ფეშევარში ტერორისტის ბომბს 12 ადამიანი ემსხვერპლა

მარიკა იაშვილი

სულ მცირე, 12 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 20-ზე მეტი დაიჭრა პაკისტანის ქალაქ ფეშევარის განაპირას მომხდარი აფეთქების დროს. აფეთქება მესაქონლეთა ხალხმრავალ ბაზარში მოხდა. როგორც ჩანს, თავდასხმის სამიზნე ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იყო, რომელიც აფეთქების დროს დაიღუპა.

ბოლო კვირის განმავლობაში ისლამისტმა ბოევიკებმა პაკისტანში თავდასხმები გაახშირეს. ამის მიზეზი სამხრეთ ვაზირისტანში ქვეყნის არმიის მიერ განხორციელებული შეტევებია.

არსებული მონაცემებით, მომხდარი თავდასხმა მატნის დასახლების ადმინისტრაციის ხელმძღვანელ აბდულა მალიქის წინააღმდეგ იყო მიმართული: ის ცნობილი იყო, როგორც ბოევიკთა აქტიური მოწინააღმდეგე. მისი დასახლება იმ რაიონის მახლობლად მდებარეობს, სადაც ბოევიკები განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევიან. არსებული ინფორმაციით, აფეთქების დროს მალიქმა მძიმე დაზიანებები მიიღო და საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, აბდულ მალიქი ოდესღაც თალიბებს უჭერდა მხარს, თუმცა მოგვიანებით თავისი დაჯგუფება ჩამოაყალიბა და თალიბების წინააღმდეგ იბრძოდა. ფეშევარის მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენელი საჰიბზადა ანისი ჰყვება, რომ "მას შემდეგ, რაც ბოევიკების წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა, მალიქმა რამდენიმე თავდასხმა გადაიტანა."

ოქტომბერში, ფეშევარის ერთ-ერთ ბაზარში მომხდარი აფეთქების შედეგად 118 ადამიანი გარდაიცვალა. მთავრობამ მომხდარზე პასუხისმგებლობა პაკისტანელ თალიბებს დააკისრა, თუმცა მათი ლიდერი მომხდარში მისი დაჯგუფების მონაწილეობას უარყოფს.

ნატო-ს შეცდომას 8 ავღანელი ემსხვერპლა

მარიკა იაშვილი

ავღანეთის თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ნატო-ს ავიაციის მიერ შეცდომით განხორციელებულმა საჰაერო თავდასხმამ 8 ადამიანი იმსხვერპლა, რომლებიც ქვეყანაში ამერიკულ ძალებთან ერთად მუშაობდნენ.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ადასტურებენ, რომ საჰაერო დარტყმა მართლა განხორციელდა, თუმცა ავღანელების - ოთხი სამხედრო მოსამსახურის, სამი პოლიციელისა და კიდევ ერთი ადამიანის - სავარაუდოდ, თარჯიმნის დაღუპვის მიზეზი ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

"ჩვენ ძალიან ვწუხვართ არსებული დანაკარგის და იმ დაზიანებათა გამო, რომლებიც ადამიანებმა ამ ძალზე მნიშვნელოვანი ოპერაციის დროს მიიღეს," - განაცხადა ავღანეთში ნატო-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეინ კემპბელმა.

ინციდენტი მოხდა ოპერაციის დროს, რომელიც ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ბადგისის პროვინციაში დაკარგული ორი ამერიკელი ჯარისკაცის მოსაძებნად ჩატარდა.

გავრცელებული ინფორმაციით, სამხედროები ორი დღის წინ უბედური შემთხვევის შედეგად დაიხოცნენ: ისინი მაშინ დაიხრჩვნენ, როდესაც მდინარიდან ნატო-ს ვერტმფრენიდან გადაყრილი ყუთების ამოტანას ცდილობდნენ. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, გარდაცვლილი ჯარისკაცების გვამები თალიბებმა იპოვეს.

ამერიკის თავდაცვის უწყების ცნობით, ჯარისკაცებს, რომლებიც სამძებრო სამუშაოებს ახორციელებდნენ, მოძრაობა თალიბანის ბოევიკები დაესხნენ თავს. ავღანეთის თავდაცვის სამინისტრო ამტკიცებს, რომ ამის შემდეგ ნატო-ს ავიაციამ შეცდომით განახორციელა საჰაერო თავდასხმა ბაზაზე, სადაც კოალიციური ჯარები და ავღანეთის უსაფრთხოების ძალები იმყოფებოდნენ.

რამდენიმე დღის წინ ავღანელმა პოლიციელმა დახვრიტა 5 ბრიტანელი სამხედრო, რომლებთან ერთადაც გილმენდის პროვინციაში საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე ავღანეთის სამართალდამცავი ძალების გადამზადებისა და სწავლების პროგრამის ფარგლებში ცხოვრობდა. ექსპერტებისა და ჟურნალისტების განცხადებით, ამ ტრაგედიამ წარმოშვა საფრთხე, რომ ავღანეთის პოლიციასა და არმიაში თალიბანის მომხრეებიც ირიცხებიან.

CMYK - 9

FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA

არანაირი შეზღუდვები

აბსოლუტური თავისუფლება
თქვენი ბიზნესისათვის

პირველი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა კავკასიაში
სტრატეგიული მდებარეობა ფოთის საზღვაო პორტთან
არანაირი მოგების გადასახადი
ბიზნეს-საქმიანობის დაწყების მარტივი პირობები



POTI FIZ

www.rakiageorgia-freezone.com

შპს Rakia Georgia FIZ (ფოთის საბაჟო ოფისი)
საქართველო, 4400, აღმაშენებლის ქ. 47
ტელ: (995 393) 25 25 4/5/6
ფაქსი: (995 393) 25 25 1/9

შპს Rakia Georgia FIZ (წინამწყვანდრეობა თბილისში)
საქართველო, თბილისი, 0103, თბილისის ქ. 20
ტელ: (995 32) 27 77 33
ფაქსი: (995 32) 27 73 66

E-mail: info@rakiageorgia-freezone.com
drskc@rakiageorgia-freezone.com
www.rakiageorgia-freezone.com

საგადასახადო უპირატესობების შესახებ ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ჩვ ნაცო ფიფიას – n.pipia@rakiageorgia-freezone.com

CMYK - 9

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ



"... მაგრამ თუ მეყო დროც და მანძილიც / და მოვუნახე სულს სასთუმალი - / მოვკვდები, როგორც ქვეყნის ნაწილი / და არა - წუთისოფლის სტუმარი", - სხვების არ ვიცი, მაგრამ აი, ასეთი ტკივილიანი იმედებით სავსე ლექსებით შემოვიდა ის ჩემს სამყაროში და აღარც დამტოვა... მე კი ერთხელაც ვერ ვკითხე ის, რაც საკითხავი მქონდა და დამრჩა... მისი გარდაცვალების შემდეგ, ბევრისთვის იქნებ არც არაფერი შეცვლილა და მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურის მოყვარულ ახალგაზრდებს შორის უმრავლესობა ინტერნეტ-ფორუმებსა და ბლოგებზე ოთარ ჭილაძის ნაწარმოებებით მოგვრილ აღფრთოვანებას ვერ მალავს და მათ წაკითხვას სხვებსაც ურჩევს, რაღაც ნაწილმა ჯერ კიდევ არ იცის, რა მოხდა, ვინ დავკარგეთ და თავში იქნებ უტრიალებდეს კიდეც შეკითხვა: - რატომ დაასაფლავეს მთაწმინდაზე? ამ კითხვაზე პასუხი არ სჭირდებათ იმათ, რომლებსაც მისი ნაწერები წაკითხული აქვთ, მაგრამ სქელტანიანი წიგნები დღეს ბევრს აშინებს, ისევე როგორც პოეზიის კრებულები... ასეთებმა რომ დაგაფასონ, მათ თვალში უნდა "ეჩხირებოდე"... არადა, ოთარ ჭილაძე არც ეკრანებზე ჩანდა და ინტერვიუებსაც არიდებდა თავს. ამის გამო "განზე დგომას" საყვედურობდნენ და მიუხედავად ამისა, ის მუდამ საბეჭდ მანქანაზე იყო "მიჯაჭვული" და მაშინაც კი წერდა, როდესაც მისი ხმის გაგონებას ხელში "რუპორით" ელოდნენ... სულ მუშაობდა, რადგან მიაჩნდა, რომ სწორედ ეს იყო მისი, როგორც მწერლის, მოვალეობა და საკუთარ ნაწარმოებებში პასუხობდა შეკითხვებს, რომლებიც დღემდე გვაწუხებს. განა პასუხები არ არის მისი რომანები, ლექსები, ან წერილები?.. თუნდაც, რუსი ჯარისკაცის მიერ სასვენი ნიშნების გარეშე დაწერილი წერილი დედისადმი, რომელიც "აველუმშია": *"თამარის (ყოფილი ჩელუსკინელების) ხიდზე წელსზემოთ გაშიშვლებულსა და ტანკის კოშკურასთან ჩამჯდარ ჯარისკაცს (რაკი სამხრეთში მოხვედრილიყო, მზის აბაზანებსაც იღებდა ბარემ), მოსწავლის რვეულიდან ამოხეული ქაღალდი მუხლზე დაედო და ბოლოგაღრღნილი ფანქრის ნატეხით წერილს წერდა დედას: ვიღებ კალამს და გიძღვნით სალამს ასე ვქთვათ მზიური საქართველოდან მოგიკითხავთ ყველას გულითადად უფროსიდან უმცროსამდე მართლა საქართველოში ვარ დე მზეზე ვიხრუკები უცებ წამოგვშალეს და გადმოგვისროლეს აქეთ ცოტა დაკა-დაკა იყო ჩვენი ბიჭებიც კარგად დაბეჟეს შენ ხომ არ იცი დე როგორ მოვაშორო ადამიანის ტვინი ფოლადს აი პატარა ნიჩბები რომ გვაქვს სანგრებს რითაც ვთხრით იმაზე გეუბნები ისე მარტო მიწას კი არ ვთხრით იმით კარტოფილიც მშვენივრად ითლება და ხორციც მშვენივრად იკეპება კონსერვიც მშვენივრად იხსნება და ასე შემდეგ ერთიანად გაზინთულია დე არ იკარებს არაფერს წყალსაც შევუშვირე არაყიც დავასხი მთელი ბოთლი ბოლო წვეთამდე არაყი აქ წყალზე ბევრი აქვთ დავაფსი კიდეც დე მაგრამ არაფერი ეშველა წუხელ სიზმარში მასწავლიდი ვითომ როგორ გამერეცხა ნიჩაბი ძილში მახსოვდა მიკვირდა კიდეც რა იოლი ყოფილა მეთქი დილით კი ვერაფრით გავიხსენე იქნებ მომწერო დე შემაწუხა ძალიან სხვამხრივ არამიშავს რა შენი ალექსეი"...*

ამაზე მეტი რაღა უნდა ეთქვა? ახლა ჯერი ჩვენზეა. რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მომავალ თაობებს მისდამი ინტერესი შევუნარჩუნოთ? ამაზე ბესიკ ხარანაულმა ჟურნალ "ლიტერატურულ პალიტრაში" გამოქვეყნებულ გამოსათხოვარში აღნიშნა, ახლავე, ცოცხალი მოწმეების თვალწინ უნდა დაიწეროს მისი ცხოვრების ბიოგრაფია, უნდა შეიკრიბოს მოგონებები და გაჩნდეს წიგნებიო... სასიხარულოა, რომ ასეთი წიგნები უკვე გამოიცა.

ორი ახალი გამოცემის პრეზენტაცია სულ რამდენიმე დღეში შედგება. მათ შესახებ მკითხველი პირველად "24 საათიდან" შეიტყობს. აქვე წაიკითხვათ თამაზ ჭილაძის ინტერვიუს, სადაც ძმის დაუსრულებელ რომანსა და მისი წიგნების თარგმანებზეც გვესაუბრება... თავიდან რომ მოვყვეთ, მკითხველს უნდა ვახარო გამომცემლობა "ინტელექტის" მიერ სახელდახელოდ მომზადებული გამოცემები, რომლებიც მისი ხელმძღვანელის - კახმეგ კუდავას ინიციატივითა და მხარდაჭერით მომზადდა. მათი შემდგენელი და რედაქტორია ზვიად კვარაცხელია, რომელსაც სამწერლო ასპარეზზე გზა სწორედ ოთარ ჭილაძემ დაუღოცა.

მათი ძალისხმევით დაიბეჭდა ოთარ ჭილაძის ლექსების კრებული, სერიით "100 ლექსი" და ასევე, "წინ მარადისობაა", რომელშიც გაერთიანდა: მწერლის საუბრები, ბოლო ინტერვიუები ("ერთხელ კიდევ", "მედროვეები და დრო", "ვარაუდი", "წინ მარადისობაა"), სიტყვები, მაგალითად თეატრზე, ანა კალანდაძეზე, ჟანა ოთხვანზე, მიხეილ ხერგიანზე, გურამ საღარაძესა და ზვიად კვარაცხელიაზე. ვფიქრობთ, განსაკუთრებულია ოთარ ჭილაძის მიერ 2004 წელს დაწერილი ავტობიოგრაფია, სადაც ის საკუთარ თავზე მესამე პირში საუბრობს. ეს უკანასკნელი, როგორც შევიტყვეთ, არსად გამოქვეყნებულა და ამ თვალსაზრისითაც საინტერესოა მისი კრებულში შეტანა და ფართო მკითხველისთვის გაცნობა.

"ოთარ ჭილაძე დაიბადა ქალაქ სიღნაღში, 1933 წლის 20 მარტს. მამის მხრიდან ოდიშის დიდი ფეოდალების შთამომავალია, მისი გვარი მოხსენებული ჰყავს თითქმის ყველა მისიონერსა და მოგზაურს, რომლებსაც მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში მოუწიათ საქართველოში ჩამოსვლა. მამამისი - ივანე ჭილაძე - პედაგოგი გახლდათ ეკონომიური და იურიდიული განათლებით. დედა - თამარი - საკმაოდ შეძლებული, მაგრამ ოციან წლებში ერთბაშად გაკოტრებული კომერსანტის ოჯახიდან იყო, რომელმაც, უმცროსი დებისგან განსხვავებით, მაინც მოასწრო კეთილშობილ ქალთა გიმნაზიის დამთავრება თბილისში. ოთარი მათი მეორე შვილია. სულ სამი შვილი ეყოლათ, ოთარამდე - თამაზი და ოთარის შემდეგ - თინა. ოთარი არც მამას ჰგავს, არც დედას, უფრო სწორად, იმდენად ჰგავს ორივეს, რამდანადაც მაინცდამაინც მას გამოჰყვა თუკი რამე ნაკლი ჰქონდათ მის მშობლებს, ან გარეგნობაში, ან ხასიათში... სწავლა ბათუმში დაიწყო, შოთა რუსთაველის სახელობის სკოლაში, მაგრამ ომის გამო, ორი წელი სიღნაღში მოუწია სწავლის გაგრძელება. დამთავრებით კი თბილისის ვაჟთა მეშვიდე სკოლა დაამთავრა 1951 წელს. იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის განხრით, რომელიც 1956 წელს დაამთავრა, თუმცა დიპლომი აქამდე უნივერსიტეტის არქივში ინახება. სწავლის წლებიდან ყველაზე მძაფრად კოშმარული სიზმარი ახსოვს: ვითომ, რომელიღაც საგანში (საგანს არა აქვს არსებითი მნიშვნელობა) საშემოდგომო გამოცდა გამოჰყვა და არ იცის, როდის, სად და ვისთან უნდა გამოცხადდეს გამოცდის ჩასაბარებლად. პირველი ნაწარმოები ნამდვილად არ ახსოვს. პირველი სიყვარული ახსოვს, მაგრამ ბუნდოვნად. მსახურობდა მხოლოდ რამდენიმე წელი, ჟურნალ "მნათობში", პოეზიის განყოფილების გამგედ, მაგრამ ახალი და მისთვის არასასურველი რედაქტორის მოსვლისთანავე, უსიტყვოდ მიატოვა იქაურობა. ჯილდოები მიღებული აქვს, თუმცა, როგორც თვითონ ფიქრობს, ნამდვილად არ დაუმსახურებია ისინი, მით უფრო, საბჭოთა ხელისუფლებისგან. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას ნაკლებად აღელვებდა ეს ამბავი. უფრო სწორად, თვითონ იცოდა, როდის როგორ მოქცეოდა ნებისმიერ ქვეშევრდომს, დაეჯილდოვებინა თუ დაესაჯა, რადგან არც დასასაჯელად ჭირდებოდა მიზეზი, არც დასაჯილდოვებლად. ამიტომ, ჯილდოების დასახელებისგან თავს შეიკავებს, მით უფრო რომ, უმეტესი ნაწილი ოთხმოცდაათიანი წლების ეკონომიურ სიდუხჭირეს შეეწირა. მაშინ, რატომღაც, ფასი დაედო და მუშტარიც გამოუჩნდა საბჭოურ ჯილდოებს. რაც შეეხება დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოს ხელისუფლებას, ჩვენი აზრით, მან მხოლოდ და მხოლოდ ზედმეტი დაბნეულობისგან, უკვე ორჯერ დააჯილდოვა ღირსების ორდენით, რასაც, თუ მახსოვრობა არ გვღალატობს, მხოლოდ კოტე მახარაძე თუ ღირსებია. დაოჯახდა ადრე, უნივერსიტეტის დამთავრებამდე. ჰყავს ორი შვილი - ზაზა და თაკო - და ოთხი შვილიშვილი - ნანა, ანა, ოთარი და ნათელა, რომლებიც თავს ურჩევნია და რომლებსაც თავისი ცხოვრების ყველაზე დიდ მონაპოვრად თვლის. რაც შეეხება მეგობრებს, ბავშვობიდან ეთაყვანებოდა ამ ინსტიტუტს, შეიძლება ითქვას, დღე არ უცხოვრია უმეგობროდ; ერთგული, გულითადი, უშეღავათო მეგობრობა იცოდა და მეგობრებიც ყოველთვის მრავლად ჰყავდა. მაგრამ დრო თავისას მოითხოვს და მიაქვს კიდეც - ბევრი, ღმერთმა გაანათლოს, ცოცხალი აღარ არის, ბევრი, ღმერთმა ხელი მოუმართოს, ცხოვრებამ აცდუნა, "სხვა გზას" დაადგა. მაგრამ, საბედნიეროდ, არიან უცვლელნიც და მარადიულნიც, როგორიც, ვთქვათ, მისი უფროსი ძმა თამაზია. "დიდი საზოგადოებრივი საქმე", ჩვენი აზრით, არ გაუკეთებია. ჩვენში რომ ვთქვათ, არც არავინ ანდობდა, რამდენადაც საბჭოეთის ერთ-ერთი უერთგულესი და უფხიზლესი ცერბერის თვალსაზრისით, "რესპუბლიკის მასშტაბით", ის იყო ქვეყნისთვის ყველაზე არასანდო ელემენტი, რაც ოფიციალურადაც განაცხადა კიდეც გაზეთში, ოღონდ, უკვე გადამდგარმა. ხოლო, ახალ ხელისუფლებას, მისი რანგის მწერალი, ალბათ არ ემეტება "დიდი საზოგადოებრივი საქმეებისთვის". სამხედრო სამსახური უნივერსიტეტში მოიხადა: ორჯერ გაიწვიეს ერთთვიან შეკრებაზე გორში, სადაც თითბრის მათლაფიდან ჭამდა და ხვლიკებით სავსე კარავში ეძინა. მწერალთა კავშირში 1959 წელს მიიღეს, პირველი პოეტური კრებულის გამოცემამდე, რაც მაშინდელი ნორმატივების გათვალისწინებით, თითქმის წარმოუდგენელი ამბავი იყო და დიდ პატივად ითვლებოდა. იმანაც შეიფერა და, როგორც ხედავთ, აქამდე ვერ შელევია ამ პატივს, ანუ, ჯერ კიდევ არ გამოსულა მწერალთა კავშირიდან, ჯერ კიდევ ითრევს ფეხს, რამდენადაც ვერც ის გაარკვია, რა სჯობს თავად მწერლობისთვის: ცუდი მწერალთა კავშირის მიტოვება უბრძოლველად, თუ განდგომილთა, გაქცეულთა უკან მობრუნება და, მათთან ერთად, კარგი, თუნდაც არსებულზე უკეთესი მწერალთა კავშირისთვის ბრძოლა. ყმაწვილთა საკითხავად სამი ლექსი აქვს დაწერილი: "ზოოპარკი", "პედრო" და "ფრანგული ზღაპრის ფრაგმენტი". რაც შეეხება "საქმიან მოგზაურობებს საზღვარგარეთ", ასეთი რამ არ ახსოვს. თუმცა, ერთხელ დიდი ხნის წინად, მართლაც იყო მცდელობა, ისიც ჩაერთოთ "საქმიან მოგზაურობაში", ანუ ისიც შეიყვანეს სამკაციან დელეგაციაში, ფინელ მწერლებთან შესახვედრად, მაგრამ ადგილობრივმა ცენტრალურმა კომიტეტმა ვერ გაბედა პასუხისმგებლობის

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ A11 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ᲓᲝᲓᲝ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

კიდევ ერთი შესანიშნავი მსახიობი, კიდევ ერთი ულამაზესი ქალბატონი გამოაკლდა ქართულ თეატრსა და კინოს, ქართულ ხელოვნებას, მთელ ჩვენს საზოგადოებას.

ქალბატონი დოდო ჭიჭინაძე იმ მსახიობთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებმაც ჭეშმარიტად სახალხო სიყვარული დაიმსახურეს. მან ქართველ ქალთა შესანიშნავი სახეები შექმნა ფილმებში: "ბედნიერი შეხვედრა", "ჭრიჭინა", "ცისკარა", "შეწყვეტილი სიმღერა", "ორომტრიალი", "ვალსი პეჩორაზე". განსაკუთრებით შეიყვარა მაყურებელმა მის მიერ განსახიერებული როლები პატრიოტული თემატიკის ფილმებში "დავით გურამიშვილი" და "ბაში აჩუკი".

ქალბატონი დოდო მართლაც გულანთებული პატრიოტი გახლდათ. თავის გამოსვლებში იგი უპირველესად სამშობლოს სიყვარულის, ქვეყანაზე ზრუნვის, მაღალი სულიერი ფასეულობების შენარჩუნების აუცილებლობაზე საუბრობდა. იგი უზომოდ იყო შეყვარებული საქართველოზე და ქართველმა ხალხმაც ასევე სიყვარულით უპასუხა - მის ნიჭსა და მომხიბვლელობას დღემდე აფასებს მაყურებელი. სულ ახლახან კი თბილისში გაიხსნა დოდო ჭიჭინაძის სახელობის ვარსკვლავი, რომელიც ქართული კინოს ჭეშმარიტ ზეიმად იქცა.

დარწმუნებულნი ვართ, რომ მადლიერ მაყურებელს დიდხანს ემახსოვრება ქართული კინოსა და თეატრის კაშკაშა ვარსკვლავი და პატივს მიაგებს დოდო ჭიჭინაძის ნათელ ხსოვნას.

ქვეყნის ნაწილი

მეათე გვერდიდან



აღება საკუთარ თავზე, რის მერეც, საკმაოდ დიდი ხნით, საერთოდ აეკრძალა იმას ყველანაირი მოგზაურობა საზღვარგარეთ. ასე რომ, კურიოზებს სხვისასაც ვერ იტანს, მით უფრო, კურიოზების სახალხოდ მოყოლას. ხოლო, "ტკივილიანი მოგონებები" იმდენად ბევრი აქვს, ვერ გამოარჩევს რომელიმეს, თანაც ასე ნაუცბათევად. ჰობი, არასოდეს არ ჰქონია, ვერ შეიქმნა საამისო პირობები, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, ახლო მომავალში, დიახაც რომ ჰობად ექცეს მაჯის თვლა და წნევის ზომვა. არის რუსთაველის, ილიას, ყაზბეგის, საბას და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. ასევე - ნობელის პრემიის ნომინანტი. ამიტომ, "სხვათა შეფასებანი" სჯობს სხვებს ჰკითხოთ. ასევე გაუჭირდება, თავად განსაზღვროს, რა ადგილს იკავებს ლიტერატურაში, თუმცა, თარგმნილი აქვს რასინის "ფედრა", ბაირონის "ბარათი ავგუსტას", ლონგფელოს "ჰაიავატას სიმღერა", პუშკინის "რუსლანი და ლუდმილა" "პოლტავა" და "ბაღჩისარაის შადრევანი"... ასევე - ბაგრიცკის, უკრაინკას, ბაჟანის, ისაკიანის, ჰესეს და სხვათა ლექსები... ჟან ანუის "ანტიგონე", თამაზთან ერთად... მეტი რა ქნას, თითქმის უკვე ნახევარი საუკუნეა, ინტენსიური და საკმაოდ ნაყოფიერი ურთიერთობა აქვს სხვადასხვა გამომცემლობასთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისევე ქვეყნის გარეთ. ძალიან ბევრი წიგნი აქვს გამოცემული და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ასე რომ, არც ამით გამოირჩევა სხვებისგან. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, ჯერჯერობით, არცერთ ქველმოქმედს არ გახსენებია მისი არსებობა, არც დაინტერესებულა, რითი უდგას სული ამ უჰონორარობის მეტისმეტად გაჭიანურებულ პერიოდში. თავად კი, როგორც არ უნდა მოინდომოს, ვერ გახდება ქველმოქმედი, თუნდაც, მარტო უფულობის გამო...", - წერს თავად ოთარ ჭილაძე.

რაც შეეხება ლექსების კრებულს, აქ შემდგენელმა ყველასათვის საყვარელ ლექსებს მოუყარა თავი და ისინი წლების მიხედვით განალაგა.

"ბ-ნი ოთარის გარდაცვალების შემდეგ, სულ მაწვალებდა სურვილი იმისა, რომ მადლიერება გამომეხატა იმ სიტყვებისთვის, რომლითაც მან გზა დამილოცა... მისდამი სიყვარული, რომელსაც ვერსად შეინახავ, არ მასვენებდა და ძალიან გამიხარდა, როდესაც ჩემი და კახმეგ კუდავას სურვილები ერთმანეთს დაემთხვა... ამ წიგნებზე მუშაობის პროცესს რაც შეეხება, შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ის, რაზეც ადრე ოცნებაც კი არ შემეძლო - ახლოს შევხებოდი ოთარ ჭილაძის ნაწერებს... ეტყობა ღმერთის ნება იყო ყველაფერი... როდესაც დიდი მწერლის არქივს ათვალიერებ, უნებურად ხდები მისი თანამყოფელი, გრძნობ ტკივილს, ეცნობი მისი მუშაობის სტილს, რაც, თავის მხრივ, გეხმარება აღიქვა თუნდაც უმცირესი ნაწილი იმ შემოქმედებითი პროცესისა, რომელსაც ოთარ ჭილაძე ქმნიდა," - თქვა ზვიად კვარაცხელიამ.

თუმცა, ოთარ ჭილაძის წიგნების გამოცემამ ყველაზე მეტად მაინც მისი ძმა - თამაზ ჭილაძე გაახარა. ამისათვის ის გამომცემელს, მის შემდგენელ-რედაქტორს ემადლიერება და მიუხედავად იმისა, რომ ოთარზე საუბრისას თვალები ენამება, მასზე წარსულ დროში ლაპარაკი ძალიან უჭირს...

- ბატონო თამაზ, რას გვეტყვით რომანზე, რომლის დამთავრებაც მან ვერ მოასწრო და მხოლოდ თქვენ გაქვთ წაკითხული?

- როდესაც ოთარი მუშაობს, ცდილობს არ ილაპარაკოს იმაზე, რაზეც წერს... ის ავადმყოფობის გამო ისე ვეღარ მუშაობდა, როგორც ადრე და ამას ძალიან განიცდიდა. არადა, იყო დრო, როდესაც დღეში 12-18 საათი წერდა და ეს მის შემოქმედებაზეც აისახა... ვიცოდით, რომ წერდა და ამას არც მალავდა, მაგრამ უკვე ხშირად ამბობდა, ნეტავ თუ დავამთავრებო... ბოლოს ისე იყო, რომ აღარ გადიოდა, აივანზე სეირნობდა მხოლოდ და უყურებდა ვერეს ხეობას, რომელიც დარიაჩანგის ბაღს აგონებდა მისი პირველი რომანიდან და დარდობდა იმაზე, რომ იქ გზა გაყავდათ... ნუთუ, დარიაჩანგივით უნდა გაიჩეხოსო, მეუბნებოდა... ვერეს ხეობა მან ბოლო რომანშიც აღწერა და როდესაც ის წავიკითხე, დიდი სინანული გამიჩნდა, რადგანაც მივხვდი, რომ ძალიან კარგი გამოვიდოდა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ შესავალია დაწერილი...

- რაზეა ის?

- დღევანდელობაზე, ჩვენს სინამდვილესა და თბილისზე, რომელსაც ის ურუქს უწოდებდა. მისი მთავარი გმირი მწერალია და ის, შესაძლოა, ავტობიოგრაფიულიც ყოფილიყო - აი, ამიტომ კიდევ უფრო მწყდება გული იმაზე, რომ ოთარმა მისი დასრულება ვერ მოასწრო... იქ ერთი სცენაა, სადაც ვერეხ ხეობას გადაჰყურებს და სინანულს განიცდის... მწერლის გარდა, მასში ჩანს მსახიობი ქალი, რომელიც დავრდომილ დედას უვლის, ყავს შვილი, მაგრამ ქმარი აღარ... მასზე მეტს ვერაფერს ვიტყვი, რადგან არ ვიცი, როგორ განვითარდებოდა... თუმცა, მასში ჩანს გადარჩენის იდეა... აქვე ჩნდება წმ. პანტელეიმონიც, რომელიც ისეა გამოყვანილი, როგორც მოქმედი პირი... როგორც ჩანს, ოთარს უნდოდა ხსნისა და ძიების იდეა გამოეკვეთა, ეჩვენებინა გადარჩენისკენ სწრაფვა... მე მას პირობითად "წმ. პანტელეიმონის დაბრუნებას" დავარქმევდი ...

- როგორი იყო მისი სამუშაო სათაური?

- "აკბე"...

- მას გამოაქვეყნებთ?

- ჯერ დრო უნდა გავიდეს, მერე კი ფრაგმენტულად, ალბათ, შეიძლება, რადგანაც მასში ისეთი ადგილებია, რომ უბრწყინვალესის გარდა, სხვა სიტყვით ვერ შეაფასებ... აქ კარგად ჩანს ენის ელვარება და სრულყოფილება, რისკენაც ის მთელი ცხოვრება მიისწრაფვოდა... ოთარს ბოლომდე არ უნდოდა იმის დაჯერება, რომ მასზე მუშაობას ვერ დაამთავრებდა, მაგრამ ერთხელაც თქვა, როგორღაც, მგონი მართლა ვკვდებიო...

- თქვენზე, როგორც ყველაზე ერთგულ მეგობარზე, ავტობიოგრაფიაშიც წერს, რომ აღარაფერი ვთვათ ლექსებზე ძმისადმი... როგორი იყო თქვენი დამოკიდებულება?

- ჩვენ ტყუპებივით გავიზარდეთ... აი, ამაზე მთელი ცხოვრება მინდოდა დამეწერა... აქამდე ძმობა მიშლიდა ხელს, მაგრამ ახლა აღარავინ მიშლის... ძალიან მიჭირს ამაზე ფიქრი...

- მოგონებებს დაწერთ?

- მოგონებებისთვის ადრეა... ჯერ იმდენად ახალია ეს ჭრილობა, რომ... მისი გარდაცვალება საშინელი დარტყმა იყო ჩვენთვის... მე მასზე მხოლოდ ორი წლით ვიყავი უფროსი და ასაკის მატებასთან ერთად, ეს განსხვავებაც გაქრა... ჩვენს შორის უფროს-უმცროსი არ ყოფილა და ძმები ჭილაძეები მეგობრობის მეტაფორადაც კი იქცა... ბევრს ჩვენი ძმობა უკვირდა, ჩვენ კი ის გვიკვირდა, მათ რომ უკვირდათ და ვიყავით ასე... ამასთან, ერთი საქმე გვქონდა, მაგრამ ამაში თუ ვინმე არ გავდა ერთმანეთს, ჩვენ ვიყავით... პოზიცია კი ყოველთვის საერთო გვქონდა, ჩვენი ხედვა და პოზიცია კი კამათში იბადებოდა... მე ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ჩვენთან ცხოვრობდა. აქ საცხოვრებლად მას შემდეგ გადმოვიდა, რაც მეუღლე გარდაეცვალა და ამ დროს ვთხოვე ჩვენთან წამოსულიყო, დამთანხმდა... ამაზე დიდი სიხარული, ალბათ, არც მქონია და ეტყობა კიდევ ვერ ვაცნობიერებ, რა ბედნიერი ვიყავი მაშინ, როცა აქ იყო... თურმე როგორ ავსებდა აქაურობას თავისი სიჩუმითაც კი... სულ დუმდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ კი არ დუმდა - ფიქრობდა და ჩვენც ვცდილობდით, მისთვის ხელი არ შეგვეშალა... მისი რომანის დამთავრებას ძალიან ველოდებოდით, არა მარტო ჩვენ...

- პირველს თქვენ გაკითხებდათ?

- კი და მინდა გითხრათ, რომ, როგორც ყველა ნამდვილი მწერალი, ძალიან დამჯერი იყო და ითვალისწინებდა, რასაც ვეუბნებოდი... თუმცა, ბევრი შენიშვნა არც მქონდა, რადგან მუშაობას რომ ამთავრებდა, ნაწარმოები უკვე დასრულებული იყო... აი, ასე ვცხოვრობდით მე, ოთარი და თინა... თინა იყო მაგის პატრონი და ბოლოს დედაც კი დაუძახა... მას, რა თქმა უნდა, თავს დასტრიალებდნენ შვილები, შვილიშვილები, მაგრამ უპირველესი მაინც თინა იყო და ბოლოს ყველაზე ახლობელიც აღმოჩნდა მისთვის... სულ თინას ეძახდა, მიუხედავად იმისა, რომ სუნთქვა ძალიან უჭირდა და იტანჯებოდა...

- მთელი მისი შემოქმედება იმედიანია...

- ის მთელი თავისი არსებობით უპირისპირდებოდა არყოფნასა და გადარჩენის იდეა სულ აწუხებდა... წარმოუდგენელია ცხოვრობდე და ეს პრობლემა არ გტკიოდეს, ამიტომაც არ შეიძლებოდა, რომ იმედი არ ჰქონოდა... მართალია, სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა, მაგრამ ვერ იჯერებდა და ნუთუო, ამბობდა... ეს კი იმას ნიშნავს, რომ იბრძოდა და ბედს არ ურიგდებოდა... ყველაზე მეტად კი იმაზე წუხდა, რომ მისი რომანი დაუმთავრებელი რჩებოდა...

- რას იტყვით წიგნებზე, რომლებიც სახელდახელოდ გამოიცა?

- ამისათვის დიდი მადლობა კახმეგ კუდავას და ზვიად კვარაცხელიას, რომელმაც ორივე კრებული კარგად შეადგინა. მან თავი მოუყარა ოთარის 100 ლექსს, ასევე, ინტერვიუებს, მის სიტყვებს, რომლებიც დაწერა მიხეილ ხერგიანზე, ანა კალანდაძეზე, ჟანა ოთხვანზე, რომელიც მართლაც შესანიშავი პოეტია და ტრაგიკული ცხოვრება განვლო და ა.შ.

მოგვიანებით, ოთარის კიევ ერთი წიგნი გამოვა, რომელსაც გამომცემლობა "პეგასი" კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით ამზადებს... ამის შესახებ მათ ოთარის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში დამირეკეს და მითხრეს, რამაც გამახარა და მადლობა მათ... ესეც იქნება ლექსების კრებული, მხოლოდ უფრო მოცულობითი, დაახლოებით, ისეთი როგორიც იყო 2003 წელს გამოცემული "კიბე", რომელიც მან საკუთარი ხელით შეადგინა და ასეც გამოიცემა, მხოლოდ ახალ ლექსებს დავამატებთ... მისთვის წინასიტყვაობის დაწერა მთხოვეს და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიჭირს, ალბათ, დავწერ... ბოლოს და ბოლოს, მარტო ძმა ხომ არ იყო... ამაზე რუსი კრიტიკოსი - სტანისლავ რასადინი გამახსენდა, რომელმაც "ნოვაია გაზეტაში" გამოაქვეყნა გამოსათხოვარი, სადაც წერს, პირველად რომ ჩავედი თბილისში, თამაზმა გვერდზე გამიყვანა და მითხრა (რა უცნაური მახსოვრობა აქვთ რუსებს...): შეიძლება კარგი მწერლები ვიყოთ, მაგრამ ოთარი მოვლენაა... ეს იცით როდის იყო? აუუუუუუ, სადღაც 60-იანი წლების ბოლოს... ახლა ის ამ გამოსათხოვარში ოთარს "ქართველ ესქილეს" უწოდებს...

- მარტო ძმა ხომ არ იყოო, ახსენეთ... რას იტყვით მასზე, როგორც მწერალზე?

- ორი სიტყვით ძალიან გამიჭირდება, მაგრამ... ის ნამდვილი მოვლენა იყო და ამას გადაუჭარბებლად ვამბობ და ერთ-ერთ ინტერვიუში ეს ვთქვი კიდეც... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მან შექმნა გრანდიოზული შემოქმედება, სამყარო, რომელსაც ოთარ ჭილაძის სახელი ქვია... მისი უპირველესი ტკივილი კი სამშობლოა იყო. 75 წელი რომ შეუსრულდა, საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თქვა, საქართველოს წირავს სიცოცხლესო და მართალიც იყო... როდესაც მისი "რკინის თეატრი" დანიურ ენაზე ითარგმნა, დიდი გამოხმაურება მოჰყვა და დანიელებმა დაწერეს, ოთარ ჭილაძემ ქართული მწერლობა მსოფლიოს რუკაზე დააბრუნაო, ამაზე დიდი შეფასება რა უნდა იყოს?..

- მწერლის მარადიული ცხოვრება იმაზეც არის დამოკიდებული, რამდენად გააგრძელებენ მისი ნაწარმოებები სიცოცხლეს...

- ეს აუცილებლად მოხდება, მით უფრო, რომ დაინტერესებაც არის... ლონდონში, ამერიკასა და გერმანიაში უკვე მუშაობენ მისი რომანების თარგმნაზე და უცხო ენაზე ისინიც მალე გამოიცემა...

- რა გაიმედებთ?

- ოთარს ყოველთვის სჯეროდა ქართველი ხალხის და იმის, რომ დადგებოდა დრო, როდესაც ქართველები ბედნიერად იცხოვრებდნენ და ადამიანური ცხოვრების ღირსი გახდებოდნენ, როთაც არასოდეს უცხოვრია... მისი ორიენტირი იყო ილია ჭავჭავაძის ვარსკვლავი და მეც, დაახლოებით, იგივეს ვფიქრობ... ვიდრე ამაოების კედელზე არსებობს ხავსის ძაფი, ყცელაფერი დაკარგული არ არისო, ამბობდა ოთარი იმ იმედით, რომ მისი იმედს მოჭიდებული ხალხი ღირსეულ მომავალში გადაინაცვლებდა... ამის იმედი მეც მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ, ჩემდა სამწუხაროდ, გულუბრყვილო კაცი არ ვარ...

იყო დრო, გვეიმედებოდა, ახლა კი მისი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს გამოცემულ წიგნებს ვათვალიერებ და ლექსების კრებულის გარეკანზე გამოტანილ მის უკანასკნელ ლექსს ვკითხულობ: *"მე კარგად ვიცი, რას ველოდები, მაგრამ არ ვიცი, რა მელოდება / და ამიტომაც ჩემი ცოდვები / მიუტევებელ რჩება ცოდვებად... " 2009 წლის 17 ივნისი.*

რატომაც არა

"ჯაყოს ხიზნების" პირველი ეკრანიზაციის შესახებ

ია ვეკუა



ქართული კინოს წლევანდელი საშემოდგომო მოსავალი განსაკუთრებით უხვი აღმოჩნდა - თბილისის კინოთეატრებში ერთდროულად რამდენიმე ადგილობრივი წარმოების ფილმი გადის. მათი ხარისხი და დასწრების კოეფიციენტი ისევე განსხვავებულია, როგორც თბილისური ნოემბრის დღეები, თუმცა მათ შორის არის ფილმი, რომელსაც მაყურებელი იმაზე მეტად მოელოდა, ვიდრე ალბათ რეჟისორი მის დასრულებას და ეკრანზე გაშვებას. დათო ჯანელიძის "ჯაყოს ხიზნები" "ამირანისა" და "რუსთაველის" ეკრანებზე ორიოდე დღის წინ გამოვიდა, ამრიგად ნებისმიერს შეუძლია მისი შეფასება და შეძლებისდაგვარად დაფასებაც.

ის რომ, ჯანელიძის ფილმი არაერთგვაროვან შეფასებას დაიმსახურებს, ეს ფაქტია, რადგან ქვეცნობიერად ყველაზე კინემატოგრაფიულად მოაზროვნე მაყურებელიც ვერ შეძლებს გაექცეს არა მხოლოდ მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოების ტექსტთან, არამედ თემურ ჩხეიძის საპექტაკლთან მისი იდენტიფიცირების სურვილს. შესაძლოა, სწორედ ეს ორი ფაქტორი აღმოჩნდეს დათო ჯანელიძის ფილმის მთავარი მსაჯული, თუმცა მათ, ვისაც არც ჯავახიშვილი წაუკითხავს, არც დადგმა უნახავს და მათ შესახებ მხოლოდ ზედაპირული, ინფორმაციული წარმოდგენა აქვს, ეკრანზე ნანახი აუცილებლად დაუტოვებს დაუკმაყოფილებლობის, უკმაყოფილების, გარკვეული პროტესტის შეგრძნებას.

ფილმი ფაქტობრივად იქიდან იწყება, საიდანაც ჯავახიშვილი იწყებს თხრობას: თეიმურაზ ხევისთავისა და ჯაყოს შეხვედრიდან, სოფლიდან ჩამოსული სტუმრის შინ მიპატიჟებისა და შემდეგ ყოფილი ბატონების მათსავე სახლში შეხიზვნის წინადადებიდან. ამბავი ნელ-ნელა ვითარდება, კადრები ერთმანეთს ცვლის, სცენიდან სცენაში ვინაცვლებთ და ნელ-ნელა ვხვდებით, რომ ფილმის ერთადერთი მისია ლიტერატურულ პირველწყაროს შინაარსის ნაწილის ცალკეული ეპიზოდების ილუსტრაციაა. ეკრანზე თითქოს მხოლოდ ნახატები ჩანს, დადგმული კადრები, ტექსტის ამსახველი სცენები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში წიგნიდან ამოხეული და გაფანტული გვერდების შთაბეჭდილებას ტოვებენ. პრაქტიკულად კუთხეშია მიჩურთული კინოსთვის აუცილებელი დინამიკა, რიტმი, დანგრეულია სცენიდან სცენაზე გადასასვლელი ხიდები, რაც ფილმს ფრაგმენტული ნამუშევრის სახეს უფრო აძლევს, ვიდრე ერთიანი ნაწარმოების ეფექტს. ერთადერთი, რაც ამ სცენებს სიცოცხლის ნიშანს აძლევს, დინამიკური კამერაა - გია გერსამიას ნამუშევარი, რომელიც მეტ-ნაკლებად ახერხებს კარგად შერჩეულ ნატურაზე განწყობის შექმნას. ამას ემატება დათო ევგენიძის საკმაოდ ორიგინალური ხერხით აწყობილი მუსიკა - ეს არის და ეს...

ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც საქმე ცნობილი და ბევრისთვის საყვარელი ნაწარმოების ეკრანიზაციას ეხება, შეუძლებელია ყველა მაყურებელი ერთნაირად კმაყოფილი დარჩეს, რადგან ადამიანს (უფრო კი კარგ მკითხველს) აქვს უნარი, კითხვისას საკუთარი წარმოსახვით შექმნილ სამყაროში აღმოჩნდეს. საკუთარი ვერსია გააჩნია ყველა რეჟისორსაც. ასეა დათო ჯანელიძის შემთხვევაშიც, მაგრამ მან ალბათ ვერ გაითვალისწინა ის ფაქტორი, რომ ქართველი მაყურებელი მიხეილ ჯავახიშვილის "ჯაყოს ხიზნების" ეკრანიზაციის შეფასებისას განსაკუთრებით მომთხოვნი და პრეტენზიული იქნებოდა, ლუპის ქვეშ განიხილავდა არა მხოლოდ ფილმის კინემატოგრაფულ მხარეს, არამედ იმასაც, რამდენად შეძლებდა ნაწარმოების განწყობის შენარჩუნებას. ჯანელიძის ფილმის შემთხვევაში სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, მეტიც - მივიღეთ ეკრანიზაცია, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად ანგრევს ნაწარმოების სტრუქტურას, ხასიათს, უგულვებელყოფს სათქმელს და გამოაქვს ნაწარმოების ალბათ ყველაზე მეორეხარისხოვანი სიუჟეტური ხაზი - სასიყვარულო სამკუთხედი, ცოლქმრული ღალატი, რამაც ფილმი საბოლოოდ რიგითი ოჯახური დრამის დონეზე დაიყვანა. ცხადია, ნაწარმოებში ეს მხარეც საინტერესოა, მაგრამ მასში აღწერილი პოლიტიკურ-სოციალური ხაზის გვერდით, რაც დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, მაინც უმნიშვნელო.

თეო ხატიაშვილი, კინომცოდნე: "ეკრანზე ნანახის მოლოდინი დაახლოებით მქონდა, რადგან ფილმის გადაღების პროცესისას რეჟისორთან ინტერვიუ ჩავწერე, რის დროსაც მან აღნიშნა, რომ ნაწარმოებიდან სასიყვარულო სამკუთხედის თემა ჰქონდა აღებული. ამრიგად ვიცოდი, რომ ფილმში სოციალური და პოლიტიკური ფონი შერბილებული იქნებოდა, თუმცა ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ის მთლიანად უგულვებელყოფილი აღმოჩნდებოდა. ნებისმიერი ეკრანიზაციისას წარმოიშვება დავა თუ რამდენად მიჰყვება რეჟისორი ავტორის ტექსტს, ლიტერატურულ პირველწყაროს, თუმცა ბოლომდე კატეგორიული მაინც ვერ იქნები, რადგან ყველა რეჟისორის საკუთარი ხედვა გააჩნია, აქვს უფლება თავისუფალი ინტერპრეტაცია შემოგთავაზოს, მაგრამ ეს ვერსიაც რაღაცით მაინც უნდა პასუხობდეს, უკავშირდებოდეს მთავარ არსს. დათო ჯანელიძის ფილმის შემთხვევაში კი ეს ყველაფერი ძალიან გამარტივებულია, გაპრიმიტიულებულია, რაც განსაკუთრებით იგრძნობა მიხეილ ჯავახიშვილის ძალიან კარგი ნაწარმოების ფონზე. ცხადია ცუდი ეკრანიზაცია ბევრია, მაგრამ ასეთი გაუბრალოებული ნამდვილად არ მახსენდება. სხვა საკითხია, რამდენად კარგად გადმოსცემს სასიყვარულო სამკუთხედის თემას რეჟისორი. ფილმი ამ მხრივაც არადამაჯერებლად მოჩანს."

დავით ბუხრიკიძე, კრიტიკოსი: "ძალიან იმედგაცრუებული ვარ და უხერხულად მოტყუებული. ჯერ ერთი, ფილმში რომანის უმთავრესი ღირსებები - შემზარავი გულწრფელობის, უკონტროლო ვნების, უხეში ფიზიკური ძალისა და უძალობაში ჩაკარგული გონების კონფლიქტი საერთოდ არ არის. მეორეც, ეს არის სალონური დრამა და არა კატასტროფის წინაშე მდგარი ქვეყნის, ოჯახის და გრძნობის ფსიქოლოგიური პორტრეტი".

ფილმს, ისევე, როგორც ნაწარმოებს სამი მთავარი პრესონაჟი ჰყავს: თეიმურაზი, მარგო და ჯაყო. მათ როლებს შესაბამისად მწერალი ზაზა ბურჭულაძე, ნატა მურვანიძე და გიორგი ნაკაშიძე ასრულებენ. პირველი, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, ბურჭულაძის ტიპაჟია, რომელიც თითქოს მიხეილ ჯავახიშვილსაც წააგავს და რაც მთავარია, გარეგნობით ტიპიური თეიმურაზ ხევისთავია. თუმცა მხოლოდ გარეგნული მსგავსება საქმეს ნამდვილად ვერ შველის - ბურჭულაძის მიერ ნათქვამი პრაქტიკულად ყოველი ფრაზა უსიცოცხლო და ყალბია. თუმცა თავად ამ შეფასებას ალბათ ნაკლებად დაეთანხმება, რადგან როგორც ფილმის დაწყებამდე ჩაწერილ კომენტარში აღნიშნავს: "როგორც ამბობენ, ნიჭიერი ადამიანი ვარ და ძნელია ამას არ დაეთანხმო". ალბათ საინტერესოა თეიმურაზის პერსონაჟის მისეული შეფასებაც: "თეიმურაზ ხევისთავი სუპერ ეგოისტი ადამიანია, რომელსაც ფეხებზე ჰკიდია მის გარშემო არსებული სამყარო და ხალხი. მასში მხოლოდ ხანდახან ილვიძებს იმპულსები, როდესაც რაღაც მაინც აღელვებს, მაგრამ მთლიანობაში მაინც ეგოისტია. იგი აუტისტური ტიპის ადამიანია, უჭირს კომუნიკაციის დამყარება გარე სამყაროსთან, უფრო სწორად არც ცდილობს ამას. რაც შეეხება როლზე მუშაობას, თეიმურაზის ტყავის მორგება ნაკლებად გამიჭირდა, რადგან როგორც ჩანს, ნაკლებად ვარ დაბიძნურებული სამსახიობო ოსტატობითა და გამოცდილებით".

წესით, კარგი ტიპაჟი უნდა ყოფილიყო ნატა მურვანიძის მარგო, რაც ისევ და ისევ მსახიობის ოსტატობის ხარჯზე უნდა მომხდარიყო. შესაძლოა, ეს მართლაც არ იყო მურვანიძის როლი, თუმცა როგორც ზემოთ გითხარით, ყველა რეჟისორსა და მსახიობს პერსონაჟის ინდივიდუალური ხედვა გააჩნია, მაგრამ ის მაინც აუცილებლად უნდა ყოფილიყო მარგო - ქალი, რომელიც ერთდროულად გამოიწვევდა სიბრალულსა და ზიზღს, შეცოდებას ქალური სისუსტისა და უნიათო ქმრის ხელში აღმოჩენის გამო. თუმცა იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მურვანიძის მარგო მხოლოდ ხორციელ ვნებას აყოლილი ქალია, ვისთვისაც თითქოს სულ ერთია ვის გვერდით აღმოჩნდება ლოგინში. განსაკუთრებული გათვლა ცხადია გიორგი ნაკაშიძის ჯაყოზე უნდა მომხდარიყო. პრინციპში სწორედ ეს პერსონაჟია ის ღერძი, რომლის ბრუნვის მიხედვითაც დანარჩენი გმირები მოძრაობენ და ვითარდებიან. მაგრამ მცირედი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აქაც ჩნდება - ძალიან კარგმა მსახიობმა თითქოს ვერ შეძლო როლის ისე მორგება, რომ ის მისი გამხდარიყო, მაყურებელს ეკრანიდან ჯაყოს ოფლის სუნი ეგრძნო და მის ჭიხვინის მსგავს ხორხოცს სმენა დაეხშო. ამ ნაკლოვანების კომპენსირებას კი მხოლოდ ველური სასიყვარულო სცენებისას და სხვა ძალადობის გამოვლინებისას ახდენს.

თეო ხატიაშვილი: "თეიმურაზის პერსონაჟი ძალიანაა გაუბრალოებული, არ იგრძნობა მისი პიროვნული ტრაგიზმი, არ ჩანს რომ ის საწყალი ინტელექტუალია, რომელსაც არ ძალუძს წინ აღუდგეს გარშემო მიმდინარე პროცესებს. მაყურებლის თვალწინ მხოლოდ უსუსური მამაკაცის სახე იშლება, რომლის უსუსურობის მიზეზებიც არ ჩანს. ზაზა ბურჭულაძე უდავოდ კარგად შერჩეული ტიპაჟია, მაგრამ მისი როლი გამოშიგნულია. ჩემთვის საინტერესო იყო, რამდენად იქნებოდა წარმოჩენილი მარგოს პერსონაჟი, რომელსაც არ გააჩნია არანაირი მოტივაცია და თითქოს მხოლოდ იმ თამაშით ტკბება თუ ვინ აირჩევს მას - თეიმურაზი თუ ჯაყო. ყველაზე ნაკლები პრეტენზია უფრო ჯაყოს პერსონაჟის მიმართ მაქვს."

აქვე გთავაზობთ ფილმის დასრულების შემდეგ ჩაწერილ მცირე ინტერვიუს დათო ჯანელიძესთან:

- პრემიერაზე მოსულებზე მეტად ჩვეულებრივი მაუყურებლის აზრი მაინტერესებს, სწორედ ისაა ნამდვილი მაყურებელი და გაცილებით ობიექტური შემფასებელია.

- არის თუ არა ფილმში გადმოცემული მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოების მთავარი სათქმელი?

- ძალიან გთხოვთ, რთულ კითხვებს ნუ დამისვამთ, თორემ ვერ გიპასუხებთ. მარტივი კითხვები დამისვით.

- მაშინ ის მაინც გვითხარით, რამდენად შეძელით დაახლოვებოდით ნაწარმოებს და დაშორებოდით თემურ ჩხეიძის ცნობილ დადგმას?

- ესეც ძალიან რთული კითხვაა. ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს. კიდევ ვიმეორებ, რომ ჩემთვის მაყურებლის აზრია მთავარი.

- ფიქრობთ, რომ მაყურებელი მიიღებს თქვენეულ ვერსიას?..

- სწორედ ეს მაინტერესებს მეც...

- ჯავახიშვილის ნაწარმოები იქმნებოდა მაშინ, როდესაც მასში ასახული პოლიტიკურ-სოციალური საკითხები განსაკუთრებით აქტუალური იყო...

- ჯავახიშვილის ნაწარმოები პასუხობდა დროს მისი შექმნისას და მუდამ აქტუალური იქნება. იმიტომაც არის ის დიდი ნაწარმოები, რომ დროს უძლებს. დრო ყველაფერს განსაზღვრავს, დრო ბევრ რამეს კლავს და აცოცხლებს... ფილმს კი ცალკე ისტორია აქვს და მის აქტუალობას დრო გვაჩვენებს.

- რატომ მოგინდათ ამ თემის ეკრანზე გადატანა სწორედ ახლა, როდესაც ნაწარმოების თემა ჩვენს რეალობაში თითქოს კვლავ მეორდება?..

- რატომაც არა.

"რატომაც არა" - ამბობს რეჟისორი, რომელსაც ალეგორიის ენაზე ამეტყველების სურვილი მხოლოდ სწორხაზოვნად განვითარებული ფილმის ბოლოს უჩნდება: ჯაყოსა და მარგოს ქორწინების შემდეგ ვიწრო ორლობეში მიმავალი ბრინკა-თეიმურაზი კედელს წააწყდება. კედლის პირისპირ აღმოჩენილი კამერა ჯერ მარცხნივ გაიხედავს, შემდეგ მარჯვნივ და საბოლოოდ ისევ ჩიხში რჩება - კვლავ კედელს უყურებს. ეს ყველაფერი კი იმდენად ბავშვურად და მარტივადაა გაკეთებული, რომ თეიმურაზის ბედზე მეტად ფილმით გადაღლილ მაყურებელს ის უფრო ადარდებს, რამდენად სიმეტრიულადაა დაწყობილი აგურები...

სპორტი

„ქისტის" თასი „აკადემიას" დარჩა

2005 წელს 12 წლის ასაკში მოედანზე გარდაცვლილი ბექა ხუციშვილის უკვდავსაყოფად მისმა თანაგუნდელებმა - ჯიქებმა და საერთოდ, სარაგბო თემმა მისი სახელობის თასს და იმავდროულად ტრადიციასაც ჩაუყარეს საფუძველი. ასპარეზობა, რომელიც "ქისტის" სახელითაა ცნობილი, წლეულს მესამედ ჩატარდა.

"ქისტის" თასზე, რომელშიც თბილისის რვა კლუბმა, მათ შორის, შეჯიბრების მასპინძლებმა ჯიქებმაც იასპარეზეს, "აკადემიის" გამარჯვებით დასრულდა. ასპარეზობებამდე ჯიქებს იმედი ჰქონდათ, რომ "ყოჩების" საკუთრებაში არსებულ თასს დაიბრუნებდნენ და სასურველ შედეგათან ახლოსაც იყვნენ, მაგრამ "აკადემიასთან" ფინალურ ჯახში 10:18 წააგეს.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ "ჯიქები" წლეულს B ლიგაში წაუგებელი სერიით საქართველოს ჩემპიონი გახდა - ფინალში ქუთაისს სძლია და ელიტაში აღზევდა.

დინამოს გამარჯვებით გალიდერებული ოლიმპი

მიხეილ აბაიშვილი

რუსთავის "ოლიმპმა" სატურნირო ცხრილის პირველი საფეხური სასტარტო წრის მერვე ტურში დაკარგა და, მას შემდგომ ექვსმა ტურმა ჩაიარა, რაც ეს პატივი აღარ ღირსებია. თუმცა, მთავარი მწვრთნელის პოსტზე თემურ მახარაძის მისვლამ ყველაფერი რადიკალირად შეცვალა. ეს ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი სპეციალისტი (თუ საუკეთესო არა) სამი ტურის წინ, ოთარ კორღალიძის ნაცვლად დაინიშნა რუსთავული კლუბის მთავარმესაჭედ და, ალბათ, ასეთ შთამბეჭდავ სტარტს ვერც ვერავინ ინატრებდა: 3 თამაშში მაქსიმალური - 9-ქულიანი შედეგი ბურთების დაუჯერებელი შეფარდებით - 15-0-ზე!!! რაღა გასაკვირია, რომ "ოლიმპმა" ცხრილის ზედა საფეხური დაიბრუნა და ორი ქულით გადაუსწრო ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჯერ-ჯერობით მთავარ კონკურენტს, ზესტაფონის "ზეტაფონს".

პირველ დას მეორე ადგილებზე მყოფი გუნდების ამ "მცირე როქს" ხელი "ზესტაფონის" წარუმატებლობამ შეუწყო, რომელიც ტურის და, ალბათ, მთელი პირველი წრის ცენტრალურ შეხვედრაში თბილისის "დინამოს" სტუმრობდა. ეს მატჩი ვაკეში, მიხეილ მესხის არენაზე გაიმართა და სპეციალისტთა აბსოლუტური უმრავლესობა გამარჯვებას უფრო სტუმრებს უქადდა. ასეთ პროგნოზსს გარკვეული საფუძველი ნამდვილად ჰქონდა. ჯერ ერთი, "ზესტაფონი" მინდინარე სეზონში, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი დამაჯერებლობით ასპარეზობს: გუნდს მე-14 ტურამდე ერთი მარცხიც კი არ ჰქონდა განცდილი, უფრო მეტიც, წინა ცამეტ შეხვედრაში "ზესტაფონი" მდევრის როლშიც კი არ აღმოჩენილა. საპირისპიროდ, "დინამომ" ძალზე არასტაბილურად ჩაატარა ჩემპიონატის იგივე მონაკვეთი - აუტსაიდერებთან მეტად მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა, რითაც, ჩემპიონობისთვის ბრძოლას პრაქტიკულად გამოეთიშა. თან, პირველ წრეში, "ზესტაფონის" და "დინამოს" დაპირისპირებაში გია გეგუჩაძის გუნდის სრული უპირატესობა აღინიშნა - მაშინ "ზესტაფონმა" დიდი ანგარიშით, 4:1 მოიგო. "დინამოს" საწინააღმდეგოდ ისიც მეტყველებდა, რომ ამ უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ გუნდს ოთხი გამოკვეთილი ლიდერი დააკლდა - კრშკო, ფირცხალავა, მერებაშვილი და ვაწაძე. "დინამო" მერებაშვილთან ერთად და მის გარეშე - აშკარად ორი განსხვავებული გუნდია. მით უმეტეს, რომ მიმდინარე ჩემპიონატის ამ ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის გარდა კაჭარავას გუნდმა სხვა ლიდერებიც მოისაკლისა.

თუმცა, როგორც ჩანს, სერიოზული დანაკლისი, აუტსაიდერის სტატუსი და ლიდერთან დაპირისპირება დღევანდელი ფორმაციის "დინამოსთვის" განსაკუტრებულად გამაღიზიანებელი ფაქტორი და დამატებითი მოტივაციაა, რსაც ამ გუნდმა მიმდინარე ჩემპიონატში უკვე მეორედ დაადასტურა. პირველად ეს პირველ წრეში, იმ პერიოდისთვის ხუთიდან ხუთი მოგებით გამარჯვებებზე დაგეშილ "ოლიმპთან" გააკეთა, როცა ვარსკვლავური სენით შეპყრობილი რუსთავული კლუბი დინამოელებმა 4:0 გაანადგურეს. სხვათა შრის, "დინამოს" მაშინაც აკლდა მერებაშვილი, რომელიც შეხვედრის მიწურულს, შეცვლაზე გამოჩნდა.

"დინამოს" რიგებში კოშკაძე რომ ერთ-ერთი საუკეთესოა, არაერთხელ დადასტურებულა. ეს ფეხბურთელი ლიდერის თვისებებს განსაკუთრებულად მაშინ ავლენს, როცა გუნდს სხვადასხვა სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზთა გამო მძიმე წუთეი უდგას. ამჯერადაც, მან პრაქტიკულად გადამწყვეტი როლი შეასრულა მატჩში: პირველი ტაიმის სუაწელში საჯარიმო მოედნის მისადგომებიდან ძლიერი და უზუსტეს დარტყმით მეტოქე გუნდის მეკარე და კაპიტანი, მამალაძე უსაქმოდ დატოვა; ეს მე-16 წუთზე მოხდა და პირველი ტაიმის დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა. შეხვედრის მეორე ნახევარში სტუმრები, რომლებსაც მოვლენათა მსგავსი განვითარება ნამდვილად არ აწყობდათ, საგრძნობლად გააქტიურდნენ, მაგრამ დიდი მცდელობების მიუხედავად, ანგარიშის გათანაბრება ვერ მოახერხეს. აღსანიშნავია "დინამოს" კაპიტნის, ხმალაძის ბრწყინვალე თამაში, რომელმაც ორჯერ თავისი მეკარის შეცდომების შემდეგ პრაქტიკულად ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ "დინამომ" დაახლოებით 28-30 მეტრი სიშორიდან სტანდარტის შესრულების უფლება მიიღო, რომელიც უძლიერესი დარტყმის სედეგად ულამაზეს გილად აქცია გურამ კაშიამ. საფინალო სასტრვენამდე ათიოდ წუთიღა იყო დარჩენილი და ყველასთვიუს, მათ სორის, ზესტაფონელთათვისაც ნათელი გახდა, რომ ამ შეხვედრაში "დინამო" გამარჯვებას ხელიდან აღარ გაუშვებდა. ანგარიში აღარც შეცვლილა, "დინამომ" სოლიდური სხვაობით გაიმარჯვა, "ზესტაფონმა" კი სეზონში პირველი მარცხი იწვნია.

თემურ მახარაძის ახალმა გუნდმა, "ოლიმპმა" კი მახარაძისავე ყოფილი გუნდის, "სიონის" კარისგან ქვა ქვაზე არ დატოვა. რუსთაველებმა ქვემოქართლურ "დერბიში" ექვსი უპასუხო გოლი გაუტანეს ბოლნისელებს და ექვსი ტურის წინ დაკარგული ლიდერობა დაიბრუნეს.

მოიგო მოქმედმა ჩემპიონმა, "ვიტ ჯორჯიამ", რომელიც ცხინვალის "სპარტაკს" სტუმრობდა. აღსანიშნავია, რომ ვეტერინარები მდევრის როლში აღმოჩნდნენ, მაგრამ ორი გოლის გატანა შეძლეს და სამი ქულა მითვალეს.

მე-14 ტური

დინამო - ზესტაფონი	2:0
სპარტაკი - ვიტ ჯორჯია	1:2
გაგრა - ბაია	1:0
სამტრედია - ლოკომოტივი	2:0
სიონი - ოლიმპი	0:6

ოლიმპი - 33 ქულა, ზესტაფონი - 31, ვიტ ჯორჯია - 29, დინამო - 23. სპარტაკი - 19, სამტრედია - 17, სიონი - 14, გაგრა - 12, ბაია - 9, ლოკომოტივი - 4.

„ქორებმა" „დენვერს" ზაზას გარეშე გადაუარეს

უცხოეთში მოთამაპშეკ ქართველი კალათბურთელებისთვის გასული შაბათი დიდად წარმატებული არ ყოფილა. ევროპაში მოასპარეზე ქართველთა გუნდებმა ერთმანეთის მიყოლებით დათმეს თამაწები, NBA-ში ფაჩულიას "ატლანტამ" კი მოიგო, თუმცა ქართველი ცენტრის დამსახურება ამ გამარჯვებაში მიზერულია.

საუბაპრს ცხადია ამერიკული ლიგით დავიწყებთ, სადაც "ქორებმა" რეგულარული სეზონის მორიგი მატჩი გამართეს. მეტნაკლებად წარმატებული დასავლური ვოიაჟის შემდეგ "ატლანტა" მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და "ფთილიპს არენაზე" კარმელო ენტონის "დენვერი" გაანადგურა. მაიკ ვუდსონის შეგირდები მთელი მატჩის განმავლოაბში ფლობდნენ უპირატესობას და საბოლოოდ მეტოქე ანგარიშით 125:100 დაამარცხეს, სხვაგვარად ალბათ ვერც იქნებოდა, სტუმართა გუნდში ენტონისა და ჩონსი ბილაპსის გარდა კაპლათბურთელს ვერ გამოარჩევ. აი ატლანტელთა ძირითადმა ხუთეულმა კი უმაღლენს დონეზე გამართა ეს მატჩი. გაგაცნობთ სტატისტიკას. ჯო ჯონსონი - 22 ქალა, 5 მოხსნა, 7 შედეგიანი გადაცემა, მაიკ ბიბი - 11 ქულა, 3 შედეგიანი გადაცემა, ალ ჰარფორდი - 11 ქულა, 12 მოხსნა, 5 შედეგიანი გადაცემა და ერთიც ბლოკშოტი, ჯოშ სმიტი - 22 ქულა, 9 მოხსნა, 7 შედეგიანი გადაცემა, მარვინ უილიამსი - 14 ქულა, 2 მოხსნა. ამას ემატება თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩართული ჯამალ კროუფორდის ბრწყინვალე თამაშიც (25 ქულა, 4 მოხსნა). რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას, ქართველი ცენტრი ფაქტობრივად სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალყურს "დენვერის" რბევას. ვუდსონმა ფაჩულიას მხოლოდ 9 წუთი მისცა სათამაშოდ და დროის ამ მონაკვეთში ზაზამ მხოლოდ ერთი მოხსნის გაკეთება შეძლო.

ახლა ევროპაში გადმოვინაცვლოთ, სადაც ერთადერთი ვოვა ბოისას გამორჩევა შეიძლება.

ბოისას გუნდი ადრიატიკის ლიგის ლიდერ "ციბონას" ესტუმრა და სენსაციამდე სულ ცოტა დააკლდა "ციბონამ" შეხვედრა 68:65 მოიგო და კვლავ უდანაკარგოდ ლიდერობს ადრიატიკის ლიგას.

ბოისამ მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო მოედანზე გატარებულ 32 წუთში 10 ქულა 6 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა. აღსანიშნავია ისიც, რომ მეტოქე გუნდის

საბერძნეთის ჩემპიოანტში მარცხი იწვნიეს გიორგი ცინცაძისა და ნიკა ცქიტიშვილის გუნდებმა.

ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ პირველად წააგო ცინცაძის "ტრიკალამ", რომელიც სტუმრად აქამდე მოგების გარეშე მყოფ "ლარისასთან" დამარცხდა 68:70.

ცინცაძემ მოედანზე 20 წუთი დაჰყო და მხოლოდ 4 ქულას, 3 შედეგიან გადაცემასა და ერთ ჩაჭრას გამორჩა.

გასვლაზე წააგო "პანიონიოსმაც". ნიკა ცქიტიშვილის გუნდი "კოლოსთან" 68:78 დამარცხდა. ნიკამ საკმაოდ 18 წუთში 2 ქულისა გაკეთება შეძლო.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია", მის: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, 2009 წლის საწარმოს შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს **აკუმულატორების** შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერი დაყოფილია 8 ლოტად. შესყიდვის ობიექტის კონკრეტულ ჩამონათვალს შეგიძლიათ გაეცნოთ სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2.

2. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები;

3. საქონლის მიწოდების ვადაა პირველი ეტაპი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღე, მეორე ეტაპი 2009 წლის 30 დეკემბერი.

4. პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ, 100 (ასი) ლარის ოდენობის **ტენდერში მონაწილეობის საფასურის** გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო კომისიის აპარატში, 2009 წლის 9 ნოემბრიდან - 18 ნოემბრის 18 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

ტენდერში მონაწილეობის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა 021467029; ბანკის კოდი: 220101502; საიდ. კოდი: 202886788.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში, 2009 წლის 19 ნოემბრის 11 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

6. ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით.

7. ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.

8. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

იურიდიულ პირთათვის:

• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

• ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ;

• ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

ფიზიკურ პირთათვის:

• ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

• ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:

• სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;

• ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე, თუ იგი 2009 წლის 19 ნოემბრის 11 საათამდე არ წარმოადგენს სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინფორმაციას და/ან თუ სატენდერო წინადადება არ შესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

9. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: ვახტანგ ერისთავი, ნინო ყანჩაველი, გიორგი ჩიღვინაძე ტელ: +995 32 935050; +995 32 357777 შიდა 1601, 1602, 1603, 1604, 1605. მისამართზე: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია".

სატენდერო კომისია
9 ნოემბერი, 2009 წელი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია", მის: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, 2009 წლის საწარმოს შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს **ნავთობპროდუქტების** შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერი დაყოფილია 4 ლოტად. შესყიდვის ობიექტის კონკრეტულ ჩამონათვალს შეგიძლიათ გაეცნოთ სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2.

2. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები;

3. საქონლის მიწოდების ვადაა 2009 წლის 30 დეკემბერი.

4. პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ, 100 (ასი) ლარის ოდენობის **ტენდერში მონაწილეობის საფასურის** გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო კომისიის აპარატში, 2009 წლის 9 ნოემბრიდან - 18 ნოემბრის 18 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

ტენდერში მონაწილეობის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა 021467029; ბანკის კოდი: 220101502; საიდ. კოდი: 202886788.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში, 2009 წლის 19 ნოემბრის 12 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

6. ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით.

7. ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.

8. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

იურიდიულ პირთათვის:

• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

• ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ;

• ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

ფიზიკურ პირთათვის:

• ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

• ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:

• სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;

• ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე, თუ იგი 2009 წლის 19 ნოემბრის 12 საათამდე არ წარმოადგენს სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინფორმაციას და/ან თუ სატენდერო წინადადება არ შესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

9. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: ვახტანგ ერისთავი, ნინო ყანჩაველი, გიორგი ჩიღვინაძე ტელ: +995 32 935050; +995 32 357777 შიდა 1601, 1602, 1603, 1604, 1605. მისამართზე: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია".

სატენდერო კომისია
9 ნოემბერი, 2009 წელი

თვალის მიკროქირურგიის

ჯავრიშვილის კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი
მოძრავი საოპერაციო ბლოკით

სიახლე!

მნიშვნელოვანი ფასდაკლება
კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

განცხადება

ს.ს. “გაერთიანებული ტელეკომის” აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

ს.ს. “გაერთიანებული ტელეკომის” სამეთვალყურეო საბჭოს 2009 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით ს.ს. “გაერთიანებული ტელეკომის” აქციონერთა კრება გაიმართება 2009 წლის 27 ნოემბერს 12 საათზე, მისამართზე ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის N275 სასტუმრო “ჯორჯიან-პალასი”, შემდეგი დღის წესრიგით:

1. გენერალური დირექტორის ანგარიში 2008 წლის შედეგების შესახებ;
2. 2008 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილების შესახებ;
3. აუდიტორული კომპანიის არჩევის შესახებ;
4. ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში

დღის წესრიგთან დაკავშირებით სამეთვალყურეო საბჭოსა და საზოგადოების გენერალური დირექტორის რეკომენდაციები:

1. დამტკიცდეს ს.ს. “გაერთიანებული ტელეკომის” 2008 წლის შედეგები;
2. 2008 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება დარჩეს გაუნაწილებლად და გამოყენებულ იქნეს ს.ს. “გაერთიანებული ტელეკომის” განვითარებისათვის.
3. აუდიტორული შემოწმებისათვის არჩეული იქნეს აუდიტორული კომპანია “**PricewaterhouseCoopers**”;
4. განხორციელდეს ცვლილებები ს.ს. “გაერთიანებული ტელეკომის” სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სააღრიცხვო დღედ განისაზღვრა 2009 წლის 9 ნოემბერი.

საერთო კრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით აქციონერების უფლებამოსილების შემოწმება და დღის წესრიგთან დაკავშირებული წინადადების წარმოდგენა შეიძლება კრების თარიღამდე 10 დღით ადრე ს.ს. “გაერთიანებული ტელეკომის” კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N95

N2/535

განჩინება

საქართველოს სახელით
გადახდისუუნარობის შესახებ განცხადეების
წარმოებაში მიღების თაობაზე

06 ივლისი 2009 წელი ქ.ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ირაკლი ლეკვეიშვილმა ერთპიროვნულად განიხილა გადახდისუუნარობის შესახებ შპს “ბათუმი უნუვერსალის‘‘ დირექტორის ირაკლი ფაღავას განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი,

დავადგინე:

1. შპს “ბათუმი უნივერსალის‘‘ დირექტორის ირაკლი ფაღავას განცხადება შპს “ბათუმი უნივერსალის‘‘ მიმართ საქმის წარმოების გახსნის შესახებ მიღებული იქნას წარმოებაში.
2. აეკრძალოს შპს “ბათუმი უნივერსალის‘‘ ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა.
3. შეჩერდეს იძულებითი აღსრულება შპს “ბათუმი უნივერსალის‘‘ მიმართ.
4. აიკრძალოს გადახდუსუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განცინების გამოტანამდე აღებული ვალდებულების უზრუნველყოფა, შეჩერდეს ვალებისა და პროცენტების გადახდა.
5 განემარტოთ კრედიტორებს, რომ ისინი უფლებამოსლი არიან განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში წარუდგინონ სასამართლოს თავისი მოთხოვნები ვალის წარმოშობის საფუძვლის მითითებით.
6. განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი 5 დღის ვადაში განჩინების მხარეთათვის გადაცემიდან ან მისი გამოქვეყნებიდან.

მოსამართლე: ირაკლი ლეკვეიშვილი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “საქმეორეული”-ს პარტნიორთა 2009 წლის 07 ოქტომბრის N5 კრების გადაწყვეტილებით ხორციელდება ლიკვიდაცია.

დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ: თბილისი, გრიგოლ რობაქიძის
გამზ. 6 კვარტ. კორპ. 18, ბ. 98.
ან დარეკეთ 858 462571.

(განცხადება ქვეყნდება განმეორებით)

აშშ საელჩო, თბილისი, საქართველო

2009 წლის 14 ნოემბერს, აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს. აუქციონზე წარმოდგენილი იქნება **ნახმარი და დაზიანებული** საოჯახო ავეჯი, მოწყობილობები, და აგრეთვე **ნახმარი და დაზიანებული** ავტომანქანები.

-აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება “არსებულ მდგომარეობაში” ნებისმიერი გარანტიის გარეშე.
-მყიდველი საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელია აუქციონზე გამოტანილი ნივთების შემდგომ განბაჟებაზე და **სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს**.
-დაინტერესებულ პირთათვის **ნივთების დათვალიერება** მოხდება **მხოლოდ აუქციონის დღეს**, 2009 წლის 14 ნოემბერს დილის 9:00-დან 11:00 საათამდე.
-აუქციონი (ბიდინგი) დაიწყება დილის 11:00 საათზე.

აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა 11. აშშ საელჩოს პარკინგის ტერიტორია.
ცნობებისთვის დარეკეთ: 277000 ან 899 563920

ქ. თბილისის, მთავრობის მიერ გამოცხადებულ აუქციონში ტექნიკური ხარვეზების გასწორება

2009 წლის 5 ნოემბრის გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებულ ქ. თბილისის მთავრობის აუქციონში დაშვებული იქნა ტექნიკური ხარვეზი N6, N19 და N26 ლოტში. აღნიშნული ხარვეზი გასწორდეს და ლოტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

ლოტი N 6
მიწის ნაკვეთის მისამართი - ბელიაშვილის ქუჩა, მორფოლოგიის ინსტიტუტის მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.13.02.008.070)
გაცემის ფორმა - აუქციონი პირობებით;
სარგებლობის ფორმა - საკუთრება;
მიწის ნაკვეთის ფართობი - 517კვ.მ;
კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის სააუქციონო პირობები -
ა). მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 300 ლარი;
ბ). აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 10 ლარი.
გ). აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი “ბე” განისაზღვროს 62040 ლარით.
დ). აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.
ე). სარეკრეაციო ზონის ფუნქციით (რზ-2).

ლოტი N 19
მიწის ნაკვეთის მისამართი - ბელიაშვილის ქუჩა ქირურგიის ინსტიტუტის მოპირდაპირედ (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.13.02.008.002) და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა ფართით 153.03 კვმ.
გაცემის ფორმა - აუქციონი;
სარგებლობის ფორმა - საკუთრება;
მიწის ნაკვეთის ფართობი - 1240კვ.მ.
კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - მიწის საწყისი ფასი - 400 000 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 20000 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი “ბე” განისაზღვროს 160000 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 500 ლარს.

ლოტი: 26
საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალება “ბმვ-520” , სახელმწიფო ნომერი N AMAA-524.
საწყისი საპრივატიზებო ფასი: 900 ლარი
“ბე”-ს ოდენობა - 360 ლარი;
აუქციონის მონაწილის ბილეთის საფასური 10 ლ.
აუქციონის ბიჯი - 10 ლ.
აუქციონის პირობებად განისაზღვროს:
- მაქსიმალური ღირებულების გადახდა;
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით განახორციელოს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალების გასაფორმებელი ხარჯების გადახდა.

21%-დან

ავტოგანვადება

- განახლებული საპროცენტო განაკვეთი
- სესხის გაცემის გამარტივებული პირობები

27 27 27 | * 27 27 | www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს